# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 12 აპრილი 2003 №65 (1836) | ფასი 50 თეთრი




შარშან ამ გოლით „ლოკომოტივმა" „დინამო" თასის ნახევარფინალიდან დაითხოვა



## ფედერაციამ კვერცხებში ხელი ჩაჰყო
### შუშაძს ცაბარიასი ამოუდო

## ადამიანმა დაიპყრო კოსმოსი, ფეხბურთმა დაიპყრო ადამიანი
# დღეს-ხვალ SPACE-მატჩებია
### მილანში დერბია, ნიუკასლში მანჩესტერი, ბარსელონა რეალისთვის იბრძვის

განა ყოველ უქმეებზე ხდება, რომ ერთდროულად იმდენი გამორჩეული თამაში იყოს, როგორც ამ შაბათ-კვირასაა? გნებავთ, ჩამოვთვალოთ:

სერია A-ში მილანური დერბია. „ინტერი" და „მილანი" თუგინდ არაფრისთვის იბრძოდნენ, მათი დაპირისპირება მუდამ მოვლენაა, რაც იტალიურ ფეხბურთში ჩახედულ ქომაგს არ ესნავლება. დღევანდელი მილანური დერბი კი ორმაგად დიდი მოვლენაა, რაკი ორივენი სკუდეტოსთვის იბრძვიან და ნაგებული, ფაქტობრივად, უშანსოდ რჩება.

ინგლისურ პრემიერლიგაშიც მეორე და მესამე ადგილებზე მყოფნი ხვდებიან და იქაც საჩემპიონო ომია. „ნიუკასლი" მოიგებს და, ტიტულისთვის ბრძოლას გააგრძელებს, ხოლო თუ „მანჩესტერმა" იმარჯვა, „კაჭკაჭები" განზე დარჩებიან, ამბიცია კი „მანჩესტერსა" და „არსენალს" დარჩებათ.



დღევანდელ მატჩამდე პაოლო მალდინი და კრისტიან ვიერი „გაძეტა დელო სპორტში" შეხვდნენ ერთმანეთს და ტკბილადაც იჭუკჭუკეს

ესპანეთში ერთბაშად ორი ისეთი მატჩია, მნიშვნელობით ძნელად რომ განვასხვავებთ. დღეს „ბარსელონა" მასპინძლობს „დეპორტივოს", ხვალ „რეალი" სტუმრობს „სოსიედადს". აქ ისეთი ვითარებაა, რომ „ბარსას" და „რეალის" წყვილად მოგება თითქმის მადრიდელთა გაჩემპიონებას ნიშნავს. ხოლო საპირისპირო ამბები თუ დატრიალდა, ჩემპიონის ვინაობა ვინძლო ბოლო ტურამდე არ გაირკვეს.

ბოლოლა ჩემპიონატთაგან ერთი გერმანიაა, დიდი ხანია, აღარაფერი რომ ხდება. „ბაიერნის" გაჩემპიონებას სასნაულიც ვერ შეუშლის ხელს.

მაგრამ შევეშვათ ბუნდესლიგას, რა თამაშებიც ჩამოვთვალეთ, საკმარისი არ არის?!


იხილეთ მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე გვერდები






# სექსუალური რევოლუცია ჭადრაკში
## მარია მანაკოვა გახდაზე თამაშობს






იხილეთ მეთოთხმეტე გვერდი


# უდაი
## სადამის ძე სატანის ძე
## ცოდვის შვილის სპორტული ჯალათობანი


იხილეთ მეთხუთმეტე გვერდი

# დავით ყიფიანის თასი

ნახევარფინალი. წილისყრა

ლოკომოტივი — დინამო

სიონი — ტორპედო

# ფედერაციის კინდერი სიურპრიზოა
## შუშაკს ცაკარიასი ამოუვიდა

**ფეხბურთის ფედერაცია**, იქაური საშეჯიბრო კომიტეტის და თასის გათამაშებას შემორჩენილი კლუბების ჩინიანი თუ რიგითი წარმომადგენლები, რა თქმა უნდა, ჟურნალისტები, ძინის მომკრო ზომის გამჭირვალე თასი და შიგ ჩაყრილი ოთხი ბურთულა, რომელიც ფედერაციას მანამ არ დაელევა, სანამ საქართველოში „კინდერის" შოკოლადის კვერცხების გაყიდვა არ აიკრძალება. ვითარება ძალიან ნაცნობია, კლუბების წარმომადგენლები რიგ-რიგობით, ყინჩად მიუმართებიან ბურთულებიანი თასისკენ, ძარღვებას გაიწვდიან და წამის შემდეგ სახე ან გაუბრწყინდებათ, ანაც ღიმილი შეაცივდებათ.

გუშინდელ სანახევარფინალო წილისყრაზე ძალიან გამართლების იმედი არავის ჰქონდა. „დინამოს", „ტორპედოს" და „ლოკომოტივის" მარაქაში მართალია, „სიონი" პირველად გაერია, მაგრამ ბოლნისელთა ძალა რიონისპირელებმა და რკინიგზელებმა თავად გამოსცადეს, ამიტომ სადღეისოდ ძნელი სათქმელია, ვის უფრო გაუმართლა.

ნახევარფინალში „ლოკომოტივს" „დინამო" ერგო, ხოლო „სიონს" — „ტორპედო". პირველი მატჩები 19 აპრილს ვაკესა და ბოლნისში ჩატარდება, საპასუხოები კი 7 მაისს.

სათასო თამაშებში ბოლნისელთა და ქუთაისელთა გზები აქამდე არ გადაკვეთილა. „სიონმა" სულაც პირველად გააღწია ნახევარფინალში. „ლოკომოტივის" და „დინამოს" საამქტაპო დუელი კი ჯერაც არ გაციებულა. შარშან ამ დროს იყო, ორი მატჩის ჯამში რკინიგზელებმა ვაკეში გატანილი ერთი გოლის წყალობით ფინალს რომ უწიეს და მერე თასსაც დაეპატრონნენ.

რამდენიმე კვირით ადრე, როცა ფედერაციაში თასის მეოთხედფინალის წილისყრა დასრულდა, რკინიგზელთა ვიცე-პრეზიდენტმა ტარიელ ლვაბერიძემ ყველას გასაგონად თქვა, „ფინალს" წლეულსაც „ლოკომოტივი" და „ტორპედო" ითამაშებენო. ამ სიტყვების ახდენაზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია, მაგრამ ლვაბერიძეს გულთმისანობის არცთუ მცირე შანსი აქვს.

უპრიანი იქნება, ისიც გავიხსენოთ, რომ თასის გათამაშების ბოლო სამ ფინალში სწორედ „ლოკომოტივი" და „ტორპედო" გავიდნენ. რიონისპირელები 1999 წელსაც ფინალში იყვნენ, ხოლო „დინამოს" იგი 1998 წლის შემდეგ არ უგემია, მაშინ ათგზის ჩემპიონმა „ეროვნულზე" „ბათუმთან" დამატებით დროში წააგო.

წილისყრის შემდეგ ოთხივე ნახევარფინალისტის თავკაცს შევეხმიანეთ და მათ კომენტარებსაც გთავაზობთ.

*ლუის ცაკარიასი, „ლოკომოტივის" მწვრთნელი:* რთული თამაშები გველის. როგორც მითხრეს, „ლოკომოტივს" შარშანდელ ნახევარფინალში „დინამო" დაუჩაგრავს. ბედნიერი ვიქნები, ეს მიღწევა წლეულსაც თუ გავიმეორეთ.

*ივო შუშაკი, „დინამოს" მწვრთნელი:* ნახევარფინალში სუსტი მეტოქე არ არსებობს და არც ასარჩევად გვქონდა საქმე. ჩვენ ჩვეულებრივად, ჩვეული სიბეჯითით შევუდგებით საქმეს, მაგრამ მომდევნო ერთ თვეში „ლოკომოტივთან" ოთხჯერ ჭიდილი მოგვიწევს და ასეთ რეჟიმში ერთი და იგივე მეტოქის მიყოლებით დამარცხება ძალიან გაჭირდება. ეს თითქმის შეუძლებელიცაა, ამიტომ ვეცდებით, საქმე ისე მოვაწყოთ, რომ საერთო ჯამში გამარჯვებული „დინამო" იყოს.

*თემურ მახარაძე, „სიონის" თავკაცი:* რა გითხრათ, ჩვენ ორ ფრონტზე გავაგრძელებთ ბრძოლას. ვეცდებით, ალებული ტემპი შევინარჩუნოთ და „სიონის" ქომაგი კიდევ უფრო გავახაროთ. თუმც „ტორპედოს" კიდევ ერთხელ დამარცხება ძნელი იქნება.

*ალექსანდრ შტელინი, „ტორპედოს" მწვრთნელი:* ბოლნისში ამასწინდელი მარცხის მიუხედავად, ნახევარფინალში „დინამოსთან" და „ტორპედოსთან" ჭიდილს ისევ „სიონთან" ბრძოლა სჯობდა. ამიტომ მგონია, რომ ცოტა გაგვიმართლა, თუმც არც ის დამვიწყებია, რაც მასპინძლებმა „თემურ სტეფანიაზე" დაგვმართეს. კარგია, პირველ მატჩს სტუმრად რომ ვთამაშობთ, ეს ფინალში გასვლის შანსებს გვიზრდის.

**მამუკა კვანტალიანი**



„დინამო" — „ლოკომოტივის" შარშანდელ ნახევარფინალს უჩხუბრად არ ჩაუვლია

## გერმანია

მეორე ბუნდესლიგა
XXVIII ტური

ალემანია 1:3 ბრაუნშვაიგი
ბურგჰაუზენი 2:0 ვალდჰოფი
კარლსრუე 0:0 მაინცი

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა
XXVI ტური

იურდინგენი 0:2 ვერდერი (მ)

სამხრეთ რეგიონალლიგა
XXIX ტური

ელვერსბერგი 1:2 შვაინფურტი
კიკერსი 4:2 ერფურტი
უნტერჰახინგი 5:0 ნოინკირხენი

## რუსეთი

პრემიერლიგა. IV ტური

ლოკომოტივი 1:2 ტორპედო
როსტოვი 1:0 ურალანი

## საფრანგეთი

I დივიზიონი. XXXIII ტური

ბორდო 0:1 ლიონი

II დივიზიონი. XXXIII ტური

ნანსი 0:2 ისტრი

## ინგლისი

I დივიზიონი. XLII ტური

ნოტინგემი 2:2 ვულვერჰემპტონი

## ბელგია

იუპილერლიგა
XXIX ტური

სენტ ტრუიდენი 2:1 ლუვიე
ბრიუგე 3:0 ვესტერლო
ბევერსხოტი 2:1 გენკი

## თურქეთი

სუპერლიგა. XXVII ტური

გალათასარაი 5:0 ალთაი

## იტალია

სერია B. XXX ტური

ბარი 1:1 ვიჩენცა

## ჰოლანდია

პირველი დივიზიონი
XXVII ტური

უტრეხტი 1:1 ტილბურგი
როდა 2:3 პსვ ეინდჰოვენი

მეორე დივიზიონი
XXVII ტური

ჰაარლემი 0:0 ვენლო
კამბური 1:1 ტელსტარი
ემენი 1:0 სიტარდი
ვოლენდამი 5:1 ეინდჰოვენი
იგლსი 4:0 დორდრეხტი
ჰელმონდი 2:0 მაასტრიხტი
ოსი 0:4 დენ ჰააგი
ჰერაკლესი 1:3 სპარტა
ვეენდამი 0:1 დენ ბოსხი

# გოლს ვუძღვნი ცოლს



# ზირაქიშვილმა ტორპედო დინამოს შეადარა

*თითქმის ნახევარი წელიწადია, მე-14 ეროვნულის მთავარმევოლე და საუკეთესო ფეხბურთელი ზაზა ზირაქიშვილი არსად ჩანდა. გუშინწინ კი თასის მეოთხედფინალის საპასუხო მატჩში („დილა" — „ტორპედო" 0:2) შეცვლაზე ითამაშა — გოლიც შეაგდო და საგოლე პასიც მიითვალა...*

*28 წლის ფორვარდს ბევრი რამ გადახდენია თავს — უცხოეთში თამაში, წარმატება და გაწბილება, აღიარება და დისკვალიფიკაცია...*

*რა ელის ზირაქიშვილს ამჯერად? ასეთი შეკითხვით არც მისთვის მიგვიმართავს, რადგან მისნაიერებს ამის პასუხი არა აქვთ...*

— გორში გოლი რომ გავიტანე, ძალიან გამიხარდა — ამდენი ხანია არ მითამაშია და გოლით დავბრუნდი. თანაც „ტორპედო" თასის ნახევარფინალში გავიდა.

**— დაახლოებით ექვსი თვე არ გითამაშია. ვერც მოსამზადებელი ეტაპი გაიარე — როგორ ფიქრობ, ოპტიმალურ ფორმაში როდის შეხვალ?**

— ამ ეტაპზე ოპტიმალური ფორმის მინიმუმამდე მისული ვარ. უკეთ რომ ვიყო მზად, ამისთვის ალბათ 3-4 თამაში დამჭირდება.

**— მაგრამ სამსეზონოდ შეძლებ კი საუკეთესო ფორმა დაიბრუნო?**

— შესაძლოა, საუკეთესო ფორმაში ვერ შევიდე, მაგრამ გუნდს აუცილებლად წავადგები, თუ, რა თქმა უნდა, რაღაცამ არ შემიშალა ხელი. საერთოდ კი, ისეთი ფეხბურთელი ვარ, რომ ფორმაში შესვლა არ მიჭირს.

**— შემოდგომაზე დაშავდი და ოპერაცია დაგჭირდა, მაგრამ სეზონი განახლდა და ტრავმამოშუშებული ზირაქიშვილი უგუნდოდ იყო — „ტორპედოში" დაბრუნებაზე ფეხს ითრევდი?**

— გასარკვევი იყო ჩემი „დინამოსთან" ურთიერთობა, ამ კლუბიდან გამოსყიდული ჯერაც არ ვარ. ერთი სიტყვით, მოლაპარაკებები მიდიოდა და გადაწყდა, რომ სეზონს „ტორპედოში" ჩავამთავრებ, თანაც სხვა გუნდშიც ვერ გადავდიოდი. ისიც უნდა ვთქვა, რომ ალექსანდრ შტელინთან მუშაობა ძალიან სასიამოვნოა. გვერდში დამიდგა „ტორპედოს" ვიცე-პრეზიდენტი დიმიტრი რამიშვილი და მთლიანად გუნდი.

**— როცა შემოდგომაზე ოპერაცია გაიკეთე, კონტრაქტი არც მაშინ გაკავშირებდა რომელიმე კლუბთან — უხელფასოდ დარჩი?**

— ოპერაციის შემდეგ ფაქტობრივად უმუშევარი დავრჩი და ხელფასიც შემიწყდა „ტორპედოდან". ოჯახის სარჩენად მანქანის გაყიდვაც კი დამჭირდა. მაგრამ ასეა — ღვთის წყალობით ყველაფერს ეშველება.

**— ახლა კმაყოფილი ხარ ქუთაისური პირობებით?**

— „ტორპედოს" არ ვეკუთვნი, თამაშებს ვერ ვთამაშობდი და ხელფასიც ამიტომ შემიწყდა, ახლახან კი კვლავ დამინიშნეს.

**— გულრწფელად გვითხარი, შესწევს „ტორპედოს" ძალა ჩემპიონობის შესანარჩუნებლად?**

— რეალურად, ამ ეტაპზე ჩემპიონობა ძალიან ძნელია, გუნდიდან სამი წამყვანი ფეხბურთელი — ასათიანი, დიდავა და ქემოკლიძე — წავიდა და უცებ ვერ აღმოფხვრი ასეთ დანაკარგს. მაგრამ ხომ გახსოვთ, როცა „დინამოდან" 2000-01 წლების სეზონის მეორე ეტაპისთვის ძალიან ბევრი წამყვანი ფეხბურთელი წავიდა, გუნდს გასაჩემპიონებლად ცოტალა დააკლდა. თითქმის იგივე სიტუაციაა ახლა „ტორპედოში"...

**— გორში შენი გოლით და საგოლე გადაცემით „ტორპედომ" ნავსი გატეხა — მანამდე გუნდს ზედიზედ ორი თამაში ვერ მოეგო...**

— ამ გოლს ჩემს მეუღლეს, ჩემს ოჯახს ვუძღვნი — ისინი ყველაზე მტკივნეულად განიცდიდნენ ჩემს ამბავს — ოპერაციის შემდეგ სამი თვე მუხლი გასიებული მქონდა და ჩემი, როგორც ფეხბურთელის კარიერა საფრთხის ქვეშ იყო, მაგრამ გადავრჩი...

**დავით თავართქილაძე**

ასორტიმენტის საგაზაფხულო განახლება
ბილიარდი
პული, რუსული პირამიდა, სნუკერი
ბილიარდაი Biliardai



ზევსი Zeus
აქსესუარები
1000-ზე მეტი დასახელება
მაღაზია სალონი www.billiard.ge
ტელ: 95-57-75, ტ/ფ: 95-88-46
ქ. თბილისი, უზნაძის ქ. (ყოფ. კამო) № 2

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

*ვეღარც ვიხსენებთ, ბოლოს როდის თამაშობდა ლატვიის ჩემპიონატში ასე ცოტა ქართველი. დღეს ლატვიაში სეზონი იხსნება. რიგის „სკონტოში“ შემორჩენილი ერთადერთი ქართველი ლევან კორღალიძეც მორიგი ტიტულის მოსაპოვებლად ემზადება. ჩვენებურმა გუნდთან ერთად სამი საწვრთნელი შეკრება გაიარა და ახლა „მეტალურგსთან“ ჯახს ელის.*

*აი, რა გვითხრა გუშინ ლევან კორღალიძემ, როცა რიგაში დავუკავშირდით*

# სკონტოს ერთადერთი სამზე ფიქრობს კორღალიძეს დუბლით წასვლა უნდა



— ჩემპიონატისთვის კარგად მოვემზადეთ და იმედი მაქვს, წარმატებული სეზონი გველის. როგორც ყოველთვის, ჩემპიონობა და თასის მოპოვება დაგვისახეს მიზნად.

**— საწვრთნელ შეკრებებზე სად იყავით?**

— ორჯერ ანთალიაში, ბოლოს კი ირლანდიაშიც გავიარეთ შეკრება. იქ შედარებით მეტი ამხანაგური მატჩი ჩავატარეთ და მწვრთნელმაც გუნდის შეთამაშებაზე გააკეთა აქცენტი.

**— „სკონტო“ ცოტა ხნის წინ ალექსანდრე რეხვიაშვილმა, ზურაბ მენთეშაშვილმა და ალექსეი მიხოლაპმა დატოვეს. ალბათ, სერიოზული ძალა დაკარგეთ...**

— რა თქმა უნდა, ეს სამი ფეხბურთელი ჩვენთვის ძალიან დიდი ძალა იყო. ისიც გასათვალისწინებელია, რომ მათ ნაცვლად ხელმძღვანელობას არავინ მოუყვანია. თუმცა, ვფიქრობ, ჩემპიონობის მთავარი ფავორიტები მაინც ჩვენ ვართ.

**— ზედიზედ ორ სეზონში, შარშან და შარშანწინ, „ვენსტპილსს“ ბოლო ტურში წაართვით ჩემპიონობა. ალბათ, წლეულს კიდევ უფრო გაგიჭირდებათ...**

— დარწმუნებული ვარ, „ვენსტპილსი“ ამ სეზონში ძალიან დიდ წინააღმდეგობას გაგვიწევს. ჩვენ ჩვენსას ვეცდებით და ვნახოთ, რა გამოგვივა.

**— ბოლოს ტრავმა გაწუხებდა. უკვე მოიშუშე?**

— ორი დღე ინდივიდუალურად ვვარჯიშობდი. გუშინ კიდევ ვიგრძენი ფეხის ტკივილი, მაგრამ ვფიქრობ, სერიოზული არაფერია. დღეს გუნდთან ერთად სრული დატვირთვით ვივარჯიშე და იმედი მაქვს, პირველ ტურში „მეტალურგსთან“ მეც ვითამაშებ.

*ლევან კორღალიძეს ამ სეზონში ჩემპიონობისა და თასის გარდა სხვა მიზანიც ამოძრავებს — მრავალი წელია, ის „სკონტოში“ თამაშობს და ახლა სხვა, უფრო მაღალი დონის ჩემპიონატში გადასვლა განუზრახავს...*

*აქვე ვთქვათ: ლატვიაში კიდევ ერთი ჩვენებური ბურთაობს — წინა სეზონში „სკონტოდან“ „რიგაში“ განათხოვრებული 27 წლის თამაზ პერტია დღეს ჩემპიონატს ლიეპაიას „რკბ-არმაში“ დაიწყებს. ყოველგვარი ფორმალური მხარე უკვე მოგვარებულია და „არმამ“ ქართველი თავდამსხმელი საჩემპიონატო განაცხადშიც შეიყვანა.*

**ძაბა შალამბერიძე**

# შენკი, გაჭერი ჯიქია

*12 თებერვალს მოლდოვასთან ნათამაშები ამხანაგური მატჩი მამია ჯიქიასთვის ლამის საბედისწერო გამოდგა. პოლონური „ამიცას“ ქართველი ნახევარმცველი შეხვედრის 25-ე წუთზე დაშავდა და მას შემდეგ ორი თვეა, არ უთამაშია. არადა, პოლონეთში დაბრუნებული გუნდს ორკვირიან საწვრთნელ შეკრებაზეც გაჰყვა*




— ნაღდად ვერ წარმოვიდგენდი, თუ ეს ტრავმა ასეთი რთული გამოდგებოდა. „ამიცასთან“ ერთად იტალიაში შეკრებაც გავიარე. ტკივილები კი მაწუხებდა, მაგრამ მეგონა, სერიოზული არაფერი იყო. სამწუხაროდ, შევცდი. შეკრებიდან დაბრუნებულს სამედიცინო გამოკვლევა ჩამიტარეს და გაოგნებული დავრჩი — წვივის უკანა ძვალი სახსართან გატეხილი აღმოჩნდა. ფეხი თაბაშირში ჩამისვეს, მაგრამ ამანაც ვერ მიშველა — გვითხრა გუშინ მამია ჯიქიამ, რომელსაც პოლონეთში დავუკავშირდით.

„ამიცას“ ქართველ ლეგიონერს, ცხადია, პოლონეთის განახლებულ ჩემპიონატში დღემდე არ უთამაშია. უფრო მეტიც, დიდი შანსია, ამ სეზონში მან საერთოდ ვერ შეძლოს მოედანზე გასვლა:

— ოთხშაბათს ავსტრიაში მივფრინავ. იქ ცნობილი ქირურგი შენკი გამოიკვლევს ჩემს ჯანმრთელობას და, ალბათ, ოპერაციასაც გავიკეთებ. ყოველ შემთხვევაში, ვფიქრობ, 90 პროცენტით ოპერაციას ვერ ავცდები — ესეც მამია ჯიქიას სიტყვებია.

თუ მართლაც ასე მოხდა, უკეთეს შემთხვევაში ჩვენებური ივნისიდან განაახლებს ვარჯიშს. ამგვარად, შეგვიძლია, წლევანდელი საფეხბურთო სეზონი მისთვის დასრულებულად ჩავთვალოთ.

— სამწუხაროა, რომ კლუბს და ნაკრებს ვერ ვეხმარები, მაგრამ ახლა ჩემთვის მთავარია, ტრავმა მოვიშუშო. იმედი მაქვს, ოპერაციაც წარმატებით ჩაივლის და სარეაბილიტაციო პერიოდიც არ გაიწელება — იმედს არ კარგავს ჯიქია.

**ძაბა შალამბერიძე**

# მენთეშაშვილი ქართველებს ვერ ესტუმრება

**ვლადიკავკაზის** „სპარტაკ-ალანიას“ ქართველმა ნახევარმცველმა ზურაბ მენთეშაშვილმა ჯერაც ვერ მოიშუშა ტრავმა. ამის გამო ლატვიური „სკონტოდან“ ოსეთში გადაბარგებულმა მენთეშაშვილმა რუსული პრემიერლიგის მესამე ტურის მატჩი ვოლგოგრადის „როტორთან“ (1:0) უკვე გამოტოვა, თუმცა სავარაუდოდ, ის ვერც დღეს, „რუბინთან“ შეხვედრაში დაეხმარება თანაგუნდელებს.

— მენთეშაშვილს ფეხი ისევ აწუხებს. მის მდგომარეობას ექიმები უახლოეს დღეებში გაარკვევენ. ფაქტია, რომ მას სრული დატვირთვით ვარჯიში ჯერ არ შეუძლია — განაცხადა „სპარტაკ-ალანიას“ თავკაცმა რევაზ ძოძუაშვილმა.

არადა, სატურნირო ცხრილში მეოთხე საფეხურზე მოკალათებულ ოსებს დღეს ყაზანში ურთულესი მატჩი ელით ჩალაძე-სილაგაძე-ჯელაძის „რუბინთან“. მენთეშაშვილის დაბრუნებას კი „სპარტაკ-ალანიას“ ექიმები უფრო მომავალ ტურში ვარაუდობენ.

**ძაბა შალამბერიძე**



# დაუმარცხებელ ქოჯაელს გამარჯვება ენატრება



გია იმედაძე

**ნაახალწლევს** ოთხი ქართველით გაძლიერებული „ქოჯაელისფორი“ კვლავაც ნანატრი გამარჯვების მოლოდინშია. გიუვენჩ ქურთარის გუნდმა ვერა და ვერ დააღწია თავი სატურნირო ცხრილის ფსკერს. არადა, ბოლო ტურებში სამი ქულა მსაჯის მიერ დამატებულ წუთებზე ორჯერ გაინავა. ახლა „ქოჯაელისფორი“ მორიგი ჯახის და სამი ქულისთვის ემზადება. იზმითელთა მეტოქე კი არცთუ ხელწამოსაკრავი „ანკარაგიუჯიუა“.

გიუვენჩ ქურთარს ქართველების იმედი ჯერაც არ დაუკარგავს. ოთხივე ჩვენებური ჯანზეა და სათამაშოდ კბილებს ილესავს. „ქოჯაელის“ თავკაცს განსაკუთრებით გუნდის ლიდ ერად გარდაქმნილი გივი დიდავასი ეიმედება, თუმცა კლუბის ერთადერთი ქართველი მეგოლე გია იმედაძეც არაა დასავიწყებელი. ზაზა ჯანაშიას თამაში კი კვლავაც საეჭვოა. მან გუნდის ძირითად შემადგენლობაში ადგილი თითქოს კი დაიბევა, მაგრამ მოგვიანებით მწვრთნელის ნდობა დაკარგა და რამდენიმე ტურია, სათადარიგოთა სკამზე ჯდომა უწევს.

გუშინ იზმითში *გია იმედაძეს* დავუკავშირდით:

— „ანკარაგიუჯიუსთან“ სათამაშოდ სერიოზულად ვემზადებით. ბოლო ოთხი ტურია არ დავმარცხებულვართ, მაგრამ სამწუხაროდ, მოგება ჯერ ვერ შევძელით. ამიტომ ეს მატჩი ჩვენთვის ბევრს ნიშნავს. მეტოქე ძლიერია, თუმცა მოსაგებად ყველაფერს გავიღებთ. ვფიქრობ, ქურთარი ძირითად შემადგენლობაში მათამაშებს. ყოველ შემთხვევაში, ვგრძნობ, ჩემს მიმართ კეთილგანწყობილია.

**ძაბა შალამბერიძე**

# რაიანი დინამოს წინააღმდეგ?

**ათი დღეა,** თბილისურ „ლოკომოტივში“ ორი პერუელი ვარჯიშობს. 22 წლის რაიან სალასარი გამთამაშებელია, იგი აქამდე ლიმას „ალიანსაში“ ირიცხებოდა, 19 წლის დიეგო ნავოლტე კი ფორვარდია.

რკინიგზელთა პერუელი თავკაცი ლუის ცაკარიასი კვირაზე მეტია, პერუდან სალასარის სატრანსფერო სერთიფიკატს მოელის. გალიარდოს წასვლის შემდეგ „ლოკომოტივს“ გამთამაშებელი არ ჰყავს და ცაკარიასიც სალასარს უმზადებდა ადგილს, მაგრამ პერუდან გათავისუფლების ფურცელმა დაიგვიანა და რაიანმაც „მილანთან“ სათასო მეოთხედფინალის საპასუხო მატჩში ვერ ითამაშა.

გუშინ, „ლოკომოტივის“ ხელმეორედ მოთხოვნის შემდეგ, პერუდან ნანატრი ფურცელი მოვიდა. რკინიგზელებმაც არ დააყოვნეს და ცაკარიასის თანამემამულე განაცხადში შეიყვანეს.

15 აპრილს ვიცე-ჩემპიონი „დინამოს“ ეთამაშება და არ არის გამორიცხული, სალასარი მოედანზე იხილოთ, თუმცა არც ის გაიკვირვოთ, ცაკარიასმა არ გარისკოს და რაიანი ოდენ სათადარიგოობას დააჯეროს.



**რაიან სალასარი უკვე ლოკომოტიველია, დიეგო ნავოლტეს სარკინიგზო მომავალი კი ჯერაც გაურკვეველია**

რაც შეეხება დიეგო ნავოლტეს, რკინიგზელები განაცხადში მის შეყვანას ჯერ არ ჩქარობენ და ცაკარიასის საბოლოო სიტყვას ელიან.

**მამუკა ძგანტალიანი**

# უეფას თასი 2002-2003. ნახევარფინალი. პირველი მატჩები

## მანჩინი ქომაგებს გაჭირვებას დაპირდა



ასეთ გამარჯვებას პორტუელები არ ელოდნენ



დიეგო სიმეონეს ელდერ პოსტიგასთან ბრძოლა გაუჭირდა

**პორტუ** (პორტუგალია) 4:1 **ლაციო** (იტალია)
0:1 ლოპესი (6), 1:1 რიბეირუ (10), 2:1, 3:1 დერლეი სილვა (27, 50), 4:1 პოსტიგა (56)
**პორტუ:** ვიტორ ბაია, პ. ფერეირა, ჟორჟე კოშტა, რ. კარვალიუ, ნუნუ ვალენტე, კოშტინია, დეკო სოუზა, მ. რიბეირუ, ალენიჩევი (ტიაგუ 83), პოსტიგა (მ. ფერეირა 59), დერლეი სილვა (იანკაუსკასი 86)
მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ
**ლაციო:** პერუცი, პანკარო, ფ. კოუტუ, მიხაილოვიჩი, ფავალი (კასტრომანი 69), ფიორე, სტანკოვიჩი, სიმეონე (ჯანიკედა 71), სეზარი, კ. ლოპესი, კიეზა (ს. ინძაგი 57)
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
გაფრთხილება: ფავალი, პანკარო, ფიორე, სეზარი, კასტრომანი
მსაჯი: კიროს ვასარასი (საბერძნეთი)
45 528 მაყურებელი

**„ლაციო"** პორტუში შემთხვევით მოხვედრილი მგზავრივით გამოიყურებოდა. იტალიელთა მარცხი მთლად იაპ სტამის არყოფნის ბრალი არაა, თუმც ჰოლანდიელის ფეხი გუნდს აშკარად აკლდა. მასპინძლები წვიმაში თავს ისე გრძნობდნენ, როგორც თევზი — წყალში. მიუხედავად ამისა, პირველი გოლი დამხვდურთა კარში გავიდა. ჯუზეპე ფავალიმ პასი ქუსლით მიიღო, მარცხენა ფლანგზე პირით ხაზამდე იარა და კლაუდიო ლოპესს დასარტყმელად დაუგორა. არგენტინელს ათიოდ მეტრიდან გატანა არ გასჭირვებია.

პორტუელებიც თითქოს ამ გოლს ელოდნენ. ისე გაფთრებით მიეჭრნენ მეტოქის კარ-მიდამოს, რომ რომაელი მცველები შეტევების მოგერიებას ველარ აუდიოდნენ. კოშტინიამ, პოსტიგამ და დერლეი სილვამ გვარიანად შეაწუხეს სტუმართა უკანახაზელები, საპასუხო კი მანიჩე რიბეირუმ ოცდახუთიოდე მეტრიდან ეშმაკური დარტყმით შეაგდო. ანჯელო პერუცი ბურთს მხოლოდ თითებით წაეპოტინა, მაგრამ ვერ მოიგერია. მალე მასპინძლებმა მეორეც გაიტანეს, ოღონდ კიროს ვასარასმა თამაშგარე მდგომარეობის გამო გოლი გააუქმა.

ჟოზე მაურინიოს ამალას ამის გამო დიდად არ უნაღვლია, რადგან დერლეი სილვამ თავისები მაინც დააწინაურა. დეკო სოუზამ კუთხური ჩააწოდა, დერლეიმ ბურთს თავი საგოლედ დაჰკრა. „ლაციო" გონზე მოსვლას ცდილობდა, მაგრამ „პორტუ" ოსტატურად მართავდა თამაშს და შესვენებამდე კიდევ რამდენიმე გოლის გატანა მართებდა. ანჯელო პერუციმ პოსტიგას ახლახან დარტყმული სასწაულებრივ მოიგერია. ერთ ეპიზოდში კიროს ვასარასს დერლეის წაქცევისთვის თერთმეტმეტრიანით ლაციოელთა დასჯაც შეეძლო, მაგრამ წაუყრუა.

მეორე ნახევარში სტუმრებს ზურგი იღბალმაც აქცია. ჯუზეპე პანკარო საჯარიმოს სიახლოვეში მსაჯმა წესის დარღვევაში ამხილა. ბურთთან დიდი შემსრულებელი, დეკო სოუზა მივიდა და მისი დაკრული ანჯელ პერუცის ხელიდან გაუვარდა. დერლეი სილვამ მეკარეს შეცდომა არ აპატია და დუბლი მიითვალა. „ლაციო" მთლად აირია და წვიმაში „დადნა". „პორტუმ" მეტოქე აშკარად დაჩაგრა და მალე მეოთხე გოლიც მოიმკო. ელდერ პოსტიგამ ძელის გავლით ანგარიში ოთხამდე გაზარდა. მატჩის მიწურულს დეიან სტანკოვიჩის დარტყმულს თუ არ ჩავთვლით, სტუმრებს საგოლე მომენტები არ შეუქმნიათ.

შეხვედრის ბოლოს შეცვლაზე შესულმა კასტრომანმა ისე იუხეშა, რომ ჟოზე მაურინიუ სკამიდან წამოფრინდა. კიროს ვასარასმა კასტრომანს ყვითელი ბარათი უჩვენა, რამაც მაურინიუს პროტესტი და ღრიალი გამოიწვია, წითელს იმსახურებდაო. მსაჯმა მასპინძელთა გახელებული მწვრთნელი წითელი ბარათით ტრიბუნებზე გაისტუმრა.

„მსგავსი ანგარიშით გამარჯვებას ნამდვილად არ ველოდი, თუმც გამარჯვება უეჭველად დავიმსახურეთ. „ლაციოს" აშკარად ვაჯობეთ და შედეგიც ლოგიკურია".

რობერტო მანჩინი: „სამბურთიანი სხვაობის გაბათილება რომში ძალიან გაგვიჭირდება. ქომაგებს ვპირდები, რომ ყველაფერს გავაკეთებთ ფინალში გასასვლელად".

**ვაჟა ხუციშვილი**



ნილბიანი პაულუ ტურა ჰენრიკ ლარსონს ტურასავით მიებარა

# ონილმა ლარსონს თითი არ დაადო

**სელტიკი** (შოტლანდია) 1:1 **ბოავიშტა** (პორტუგალია)
0:1 ვალგაერენი (48ს.კ.), 1:1 ლარსონი (49)
*ლარსონმა ვერ გაიტანა პენალტი (75, მეკარე)*
**სელტიკი:** დუგლასი, მიალბი, ბალდე, ვალგაერენი, ტომპსონი, აგათი (სილა 74), ს. პეტროვი (დ. ფერნანდესი 78), ლენონი, ლამბერტი, ლარსონი, ჰარტსონი
მწვრთნელი: მარტინ ონილი
**ბოავიშტა:** რიკარდუ, ავალოსი, პაულუ ტურა, ედერი, მარიუ, კლაუდიუ (კაფუ 46; ბოსინგვა 81), პედროსა (რუი ოსკარი 90), ფილიპე, მარტელინიუ, ე. ლიმა, დუდა ვენტურა
მწვრთნელი: ჟაიმე პაშეკუ
გაფრთხილება: დუდა ვენტურა, ავალოსი, ლენონი, მარტელინიუ, პაულუ ტურა, ბალდე
მსაჯი: ფრანკ დე ბლეეკერი (ბელგია)
60 000 მაყურებელი

**„მატჩამდე** ოპტიმისტური განწყობა მქონდა და ახლა უკეთეს ხასიათზე ვარ. ძირითადი შემადგენლობის ხუთი ფეხბურთელი არ გვყავდა და შემიძლია ვთქვა, რომ თავს ზემოთ ავხტით. „სელტიკი" შესანიშნავი გუნდია და დიდი ძალისხმევა დაგვჭირდა ანგარიშის შესანარჩუნებლად" — თქვა შეხვედრის შემდეგ „ბოავიშტას" მწვრთნელმა ჟაიმე პაშეკუმ.

მატჩის დასრულებამდე თხუთმეტი წუთით ადრე ლარსონს გამარჯვების გოლის შეგდება შეეძლო, მაგრამ შვედმა თერთმეტმეტრიანი ვერ გამოიყენა — ბურთი რიკარდუ პერეირამ მოიგერია.

მთლიანობაში თამაში „სელტიკის" უპირატესობით მიმდინარეობდა და ეს არცაა გასაკვირი. 60 ათასი „თეთრმწვანე" ქომაგის თანხლებით დამხვდურები ჯიგრით უტევდნენ, თუმცა პირველი ტაიმის დასაწყისში მეტოქის კართან ხიფათი მხოლოდ ერთხელ შექმნეს. ჰენრიკ ლარსონს თავური გაუცუდდა. მერე „სელტიკის" სანახები „ბოავიშტამაც" მოინახულა. კლაუდიუს წამოწყებული კომბინაცია პედროსამ გააგრძელა და თხუთმეტიოდ მეტრიდან დუდა ვენტურას დარტყმით დასრულდა. ბურთს მასპინძელთა მცველის ფეხი გადაელობა.

პორტუელებმა კიდევ რამდენჯერმე სცადეს შორიდან გოლის გატანა, მაგრამ დუგლასი კარში ყოჩაღად იდგა. პირველი ტაიმი ძირითადად ცენტრში ბრძოლაში გაილია და საგოლე მომენტების სიმწირეც გამოიწვია.

შესვენების შემდეგ სურათი შეიცვალა. მეტოქეებმა მეტად მოიწადინეს. მონდომება ჯერ სტუმრებს დაუფასდათ. მარჯვენა ფლანგიდან ჩაწოდებული ბურთი ვალგაერენმა საკუთარ კარში ჩაჭრა. თუმცა მალევე, როგორც კი შეხვედრა ცენტრიდან განახლდა, ჰენრიკ ლარსონმა სტილიან პეტროვის პასი შეირგო და სხვაობა გაქვითა. გოლების შემდეგ ბელგიელი მსაჯის, ფრანკ დე ბლეეკერის ჯერიც დადგა. თექვსმეტწუთიან მონაკვეთში ბელგიელმა ხუთჯერ წაიღო ჯიბისკენ ხელი და ხუთჯერვე ყვითელი ბარათი ამოაყოლა. მათ შორის ოთხჯერ გაფრთხილება ბოავიშტელებს ერგოთ.

55-ე წუთზე რიკარდო ავალოსის საჯარიმო დარტყმა რობერტ დუგლასმა მოიგერია. საპასუხოდ ჯონ ჰარტსონმა შეუტია, მაგრამ რიკარდუ პერეირა ბურთს ადგილზე დაუხვდა. მოგვიანებით ისევ ჰარტსონს ჰქონდა ხელსაყრელი მომენტი და სამიოდ მეტრიდან მეკარეს ვერ აჯობა. ამ ამბებს, პორტუგალიელთა აზრით, საეჭვო პენალტი მოჰყვა, რომელიც მსაჯმა უეჭველად მიიჩნია. „ბოავიშტას" მეკარემ ლარსონს არ გაატანინა და პორტუელებმაც სასურველი ანგარიშის შენარჩუნება შეძლეს. შეხვედრის მიწურულს შვედი ფორვარდის დარტყმული სტუმართა მცველმა, პაულუ ტურამ კარის ხაზიდან გამოიტანა.

მატჩის შემდეგ მარტინ ონილი მაინცდამაინც აფორიაქებული არ ყოფილა: „რა თქმა უნდა, შედეგით უკმაყოფილო ვარ, თუმცა ჩვენ პორტუში მოგებას ვგეგმავთ. ცხადია, გაფუჭებული პენალტი საწყენია. ვიცი, როგორ განიცდის ამას ლარსონი, მაგრამ მის დადანაშაულებას ნამდვილად არ ვაპირებ".

**ვაჟა ხუციშვილი**

# ინტერი vs მილანი

*მილანური დერბი, იგივე მადონინა... ეს ამბავი სათავეს 1908 წლის 18 ოქტომბრიდან იღებს. მაშინ, ანუ 95 წლის წინ, იტალიური ქალაქის ორმა გუნდმა შვეიცარიულ ქალაქ კიაზოში მოუსინჯა ერთმანეთს კბილი და დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო! დაიწყო ის, რაც დღეს უკვე 252 დაპირისპირებისგან შედგება. რაც ყოველთვის ძალიან მნიშვნელოვანია და რაზეც განა მხოლოდ იტალიაში, მთელ მსოფლიოში ამახვილებენ ყურადღებას.*



პაოლო მალდინი და კრისტიან ვიერი მატჩის წინ ერთმანეთს კი უღიმიან, მაგრამ მატჩისას რომ ერთურთს არ დაინდობენ, ცხადია

## მადონინა

## ლურჯი და წითელი შავ ფონზე

## სიძულვილი მილანურად

## 253

მადონინას მიზეზი 159 შემთხვევაში სერია A-ს ჩემპიონატი გახლდათ და ამ 159-დან 57-ში „ინტერმა" იმძლავრა, რაც მილანის „შავ-ლურჯი" გულის მქონე ნაწილს, ბუნებრივია, ძალიან ეამაყება, თუმცა, ისტორია პერიოდებად იყოფა: 1929 წლამდე აშკარა უპირატესობა „მილანს" ჰქონდა, ხოლო 60-იან წლებში, როდესაც ელინიო ერერამ „კატენაჩო" მოიგონა — „ინტერს", დანარჩენ შემთხვევაში ხან ისეა, ხან ასე.

წერილი იმით დავიწყეთ, რომ პირველი დერბი იტალიაში კი არა, შვეიცარიაში გაიმართა. ეს შემთხვევა სულაც არ იყო ერთადერთი, როდესაც „შავ-წითლებმა" და „შავ-ლურჯებმა" საზღვარგარეთ ითამაშეს. კერძოდ, 60 წლის შემდეგ ისინი ნიუ იორკის „იანკის" სტადიონზე გადაეყარნენ ერთმანეთს, ამ ამერიკული მეგაპოლისის რაღაც ტურნირზე, მაგრამ ამას თავი დავანებოთ.

რა თვეა ახლა? აპრილი, ხომ? ჰოდა, ჩვენც აპრილის ამბებში ჩავიხედოთ: დღეს მე-17 სააპრილო მადონინა ყოფილა და ამ თვეში უპირატესობა „ინტერს" ჰქონია — 8 „შავ-ლურჯებმა" მოიგეს, 5 — „შავ-წითლებმა". ბოლოს ეს 1997 წელს მოხდარა და „შავ-ლურჯებს" 3:1 გაუმარჯვიათ, ფრედ თანაქალაქელებს 1993 წლის აპრილში უთამაშიათ (1:1), „მილანს" კი ერთი წლით ადრე, 1992 წელს მოუგია, 1:0.

ბოლო ხუთი მადონინაა მასპინძელი „ინტერი" მოგებას ვერ ახერხებს. 1998 წლის 21 იანვარს, იტალიის თასზე რომ შეხვდნენ ერთმანეთს, მასპინძლად „ინტერი" რომ ეწერა და 32-ე წუთზე ბრანკას გოლით 1:0 რომ მოიგო, ის არის. მას მერე ორი მატჩი ფრედ დასრულდა, ხოლო სამი „მილანმა" მოიგო. ერთი სიტყვით, ექტორ რაულ კუპერის შეგირდებმა მოუდანი დღესაც გამარჯვების გარეშე რომ დასტოვონ, ისტორიაში მეორე უარესი სერია გამოუვათ — იყო ასეთი შემთხვევა, 1986-1994 წლებში, როდესაც „შავ-ლურჯებმა" ცხრა შეხვედრაში ვერ აჯობეს „გადმაქალაქელებს", მანამდე, 1974-1979 წლებში კი სწორედ 6 მოუგებელი თამაში უხეთქავდათ გულს.

მაგრამ, ეს ყველაფერი ისტორიაა და ძველი ამბებისა და ციფრების ქექვით თუ ძალიან შეგაწყინეთ თავი, ბოდიში მოგვითხოვია. დღეს სხვა ეპოქა გახლავთ, რადა დროს ელინიო ერერას კატენაჩოა, დღეს აქეთ კრისტიან ვიერი შეუტევს, იქით — ფილიპო ინძაგი. ცნობისთვის: თუ მხოლოდ სერია A-ს კი არა, ყველა შეჯიბრებას ერთად ავიღებთ, ვნახავთ, რომ იტალიაში ეს ორი თავდამსხმელია საუკეთესო — ვიერის 26 გოლი აქვს გატანილი (24 ეროვნულ ჩემპიონატში, 2 ჩემპიონთა ლიგაში), ინძაგის კი 25 (14 ეროვნულ ჩემპიონატში, 11 ჩემპიონთა ლიგაში).

„არადა, დიდი სიამოვნებით ვითამაშებდით ერთ კლუბში — ამბობს ინძაგი — კაცმა რომ თქვას, არავინ იცის, როდის რა მოხდება, მანამდე კი ნაკრებში ვიბრძვით ერთად".

„ინტერის" არგენტინელი თავდამსხმელი ერნან კრესპო კი იმედოვნებს, რომ დღევანდელი დერბი 1:0 დასრულდება.

„იმედი მაქვს, რომ „მილანს" „ვალენსიასავით" 1:0-ს მოვუგებთ. მე ლამაზი ფეხბურთი მიყვარს, ვცდილობ სანახაობრივად ვითამაშო, მაგრამ დერბი სულ სხვა რამ არის. ეს განსხვავებული მატჩი იქნება. რომელშიც კბილები უნდა გამოვაჩინო. მეტიც, ამ თამაშს ცინიზმი სჭირდება".

„მილანის" ვეტერანმა ვარსკვლავმა, პაოლო მალდინიმ საკითხს სულ სხვა მხრიდან მოუარა:

„წარმოიდგენია, როგორ გაუხარდება ჩვენი მოგება „იუვენტუსს". ალალად რომ ვთქვათ, ჩვენი გამარჯვება ტურინელებისთვის უფრო მნიშვნელოვანია, მაგრამ, ბუნებრივია, „მილანი" უპირველეს ყოვლისა საკუთარი თავისთვის ითამაშებს. პირადად მე, ამ შეხვედრაში ჯანი რივერას რეკორდს მოვხსნი, მილანურ დერბიში უფრო მეტი დამიგროვდება ნათამაშები, მაგრამ ეს ემოცია მეორეხარისხოვანია, ისევე, როგორც მეორეხარისხოვანი იყო „პარმასთან" მატჩის დროს სერია A-ში ჩატარებულ შეხვედრათა რეკორდის დამყარება. მთავარი დერბია, რომელშიც, ისევე, როგორც წინა წლებში, იმედი მაქვს სერჟინიო ითამაშებს მნიშვნელოვან როლს".

რა შუაშია სერჟინიო?

სერჟინიო, იგივე სერჟიო კლაუდიო დუშ სანტუში, ის ფეხბურთელია, რომელმაც 2001 წლის 11 მარტს მადონინა „ინტერის" კარში გატანილი ერთი გოლით და სამი საგოლე პასით ვისთვის დაატკბო და ვისთვის ჩაამწარა. ის თამაში „შავ-წითლებმა" 6:0 მოიგეს და დღემდე ხარობენ, მაგრამ დახეთ ბრაზილიელს: იმავე წლის 21 ოქტომბერს „მილანმა" „ინტერს" 4:2 მოუგო, სადაც სერჟინიომ შევჩენკოს გაუწია ასისტენტობა და იმ, ცხადია, ემოციურ შეხვედრას წერტილი დაუსვა. შემდეგ დაითვალეს. გამოვიდა, რომ სერჟინიოს ყველანაირი მონაცემებით (პასები, დარტყმები, გარღვევები და ასე შემდეგ) თავისუფლად შეიძლება „დერბის კაცი" ეწოდოს.

ანდრეი შევჩენკო ვახსენეთ. გუშინ უკრაინელმა „კორიერე დელო სპორტს" მისცა ინტერვიუ:

„ყველაზე მეტად გოლის გატანა მინდა. ერთის მაინც. ამ შეხვედრას ხომ სხვა თამაშებივით ვერაფრით მივუდგებით. მილანური დერბი განსაკუთრებულია, რომელსაც ვერაფერი შეედრება. მისი დავიწყება შეუძლებელია. დერბიში გამარჯვება საოცარი სიამოვნებაა".

გასაკვირი იმაში, რომ შევჩენკოს თუნდაც ერთი გოლის გატანა უნდა, არაფერია. მას ხომ მადონინაში ცხრაჯერ მიუღია მონაწილეობა და ცხრა გოლი აქვს გატანილი.

კიდევ ერთი მილანელი, მანუელ რუი კოშტა: „რასაც კი გუნდი და მწვრთნელი მომთხოვენ, ყველაფერს გავაკეთებ. „იუვენტუსთან" მოგების შემდეგ ვთქვი, რომ ოღონდ რამე მოვიგოთ და მსხვერპლს გავიღებ. ჩემპიონთა ლიგაში, ამსტერდამში „აიაქსს" რომ შევხვდით, თამაშის მერე ანჩელოტის დიდხანს ვესაუბრე. მან შემაქო და მკითხა, როგორ ვგრძნობ თავს მარჯვენა ფრთაზე. აინტერესებდა, მინდა თუ არა ამ ექსპერიმენტის გაგრძელება. მე ვუპასუხე, რომ თუ ეს „მილანს" რამეს მოუტანს, მზად ვარ სეზონი მარჯვენა ფრთაზე ჩავამთავრო".



ბოლოს კი „მილანის" მწვრთნელზე, კარლო ანჩელოტიზე — თუ წერილი საღმე ხელოვნურად არ შევწყვიტეთ, ისე მადონინაზე საუბარს ვერასდროს დავასრულებთ — იუბილე და რეკორდი ნაირნაირი არსებობს და ერთ-ერთი მათგანის მიღწევა ანჩელოტისაც შეუძლია: დღევანდელი დერბი ფრედ რომ დასრულდეს, „შავ-წითელთა" თავკაცის პირადი შედეგების გასწვრივ ფრეთა გრაფაში შეგვხვდება 100 ჩაწერილი. დიახ, როგორც მწვრთნელმა, ამ პატივსაცემმა კაცმა 59 ფრე სერია A-ში ითამაშა, 13 სერია B-ში, 10 იტალიის თასზე, 14 ევროშეჯიბრებებში და სამიც ჯერტაყურტა შეჯიბრებებში. დაჯამება თქვენთვის მოგვინდვია.

**პაატა ძიძია**



ფოტო წარსულიდან: ინტერელ სანდრო მაცოლას „მილანის" მცველები გასაქანს არ აძლევენ

დღევანდელი დერბი რიგით 253-ეა...
„მილანმა" 96-ჯერ მოიგო, „ინტერმა" – 87-ჯერ,
ფრედ 69-ჯერ გაეყარნენ ერთმანეთს.
სერია A-ს შეხვედრებში უპირატესობა „ნერო აძურის" აქვს,
57 მოგება „შავ-წითელთა" 51-ის წინააღმდეგ. ამდენჯერვე
მოსისხლე გუნდები მშვიდობიანად დასცილდნენ ერთმანეთს

### სავარაუდო შემადგენლობები

**„ლა გაძეტა დელო სპორტის" ვერსია**

ინტერი (4-4-2): ტოლდო — ხ. ძანეტი, კანავარო, მატერაცი, კორდობა — ოკანი, დი ბიაჯო, კ. ძანეტი, ემრე — ვიერი, რეკობა (ან კრესპო)

მილანი (4-4-2): დიდა — შიმიჩი, ნესტა, მალდინი, კოსტაკურტა — რუი კოშტა, გატუზო, ამბროზინი, სერჟინიო — შევჩენკო, ინძაგი

მსაჯი: რობერტო როზეტი





ფილიპო ინძაგი და ერნან კრესპო: ორივეს გოლის სურვილით იწვის

# იტალია

პაპუნა კედია

# სამუშაო ატმოსფერო

| XXVIII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| კომო | - | პერუჯა |
| ინტერი | - | მილანი |
| **ხვალ** | | |
| უდინეზე | - | ბრეშა |
| ემპოლი | - | კიევო |
| ბოლონია | - | იუვენტუსი |
| მოდენა | - | ლაციო |
| რომა | - | პარმა |
| ტორინო | - | პიაჩენცა |
| ატალანტა | - | რეჯინა |

| საღლეისო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 27 | 18 | 6 | 3 | 51:18 | 60 |
| ინტერი | 27 | 17 | 4 | 6 | 55:32 | 55 |
| მილანი | 27 | 15 | 7 | 5 | 46:21 | 52 |
| ლაციო | 27 | 12 | 12 | 3 | 48:27 | 48 |
| პარმა | 27 | 12 | 9 | 6 | 46:29 | 45 |
| კიევო | 27 | 13 | 5 | 9 | 37:28 | 44 |
| უდინეზე | 27 | 11 | 6 | 10 | 27:30 | 39 |
| რომა | 27 | 9 | 9 | 9 | 43:37 | 36 |
| ბრეშა | 27 | 8 | 12 | 7 | 31:30 | 36 |
| ბოლონია | 27 | 9 | 9 | 9 | 31:33 | 36 |
| პერუჯა | 27 | 9 | 8 | 10 | 33:35 | 35 |
| მოდენა | 27 | 8 | 7 | 12 | 23:39 | 31 |
| რეჯინა | 27 | 8 | 5 | 14 | 28:44 | 29 |
| ემპოლი | 27 | 7 | 7 | 13 | 30:40 | 28 |
| ატალანტა | 27 | 6 | 10 | 11 | 27:40 | 28 |
| პიაჩენცა | 27 | 5 | 5 | 17 | 26:48 | 20 |
| კომო | 27 | 3 | 10 | 14 | 22:45 | 19 |
| ტორინო | 27 | 4 | 7 | 16 | 18:46 | 19 |

**მილანში** დერბია, მილანური კლუბები მეორე და მესამე ადგილებზე არიან, ყველაფერი ერთად აღებული კი იმას ნიშნავს, რომ „იუვენტუსი" ხელებს იფშვნეტს. მისთვის „ინტერის" გამარჯვება იქნება ცუდი, თორემ „მილანის" მოგება და ფრე, ძალიანაც აძლევს ხელს. თუმცა „ბებერ ქალბატონს" მაინც უჯობს თავის შეხვედრაზე იფიქროს, მით უფრო, რომ დავიდ ტრეზეგე ჰყავს დაშავებული, ხოლო დავიდ ტრეზეგე რომ დიდი ძალაა, ამას ბევრი მტკიცება არ სჭირდება — გაიხსენეთ ოთხშაბათს ჩემპიონთა ლიგაში „ბარსელონასთან" ნათამაშები 1:1.

ტერეზეგეს არყოფნაში, სავარაუდოდ, მის ადგილს გამოჯანმრთელებული მარკო დი ვაიო დაიკავებს. დი ვაიოს მხარდამხარ კი ცხრილის შუაში დაფუძნებული „ბოლონიას" კარს, ბუნებრივია, ალესანდრო დელ პიერო შეუტევს.

„ბრეშა", რომელმაც წინა ტურში „ატალანტას" 3:0 მოუგო და ადრეული შემოდგომის შემდეგ პირველად აინაცვლა ცხრილის ზედა ნახევარში უდინეში, ალბათ იმავე შემადგენლობით ითამაშებს. ასე რომ, რობერტო ბაჯოს ქომაგებს ყურადღებას ამ ქალაქისკენ ვთხოვთ.

„ტორინოს", რომელიც „პიაჩენცას" მასპინძლობს, ხუთი ფეხბურთელი ჰყავს დისკვალიფიცირებული, მიზეზი: წინა ტურის ნერვიული შეხვედრა „იუვენტუსთან". ყველაზე მეტად ტურინელებს მეკარე ლუკა ბუჩი და თავდამსხმელი კრისტიანო ლუკარელი დააკლდებათ, მაგარამ ამით ისარგებლებს თუ ვერა „პიაჩენცა", მეორე საკითხია. საქმე ის გახლავთ, რომ ლუიჯი კანის გუნდს ბოლო ექვსი შეხვედრიდან მხოლოდ ერთი აქვს მოგებული.

ყურადსაღებია „რომასა" და „პარმას" დაპირისპირება. „რომამ" ერთი კვირის წინ „ინტერთან" ისეთი 1:3 გამოასწორა და 3:3 გახადა, რომ ამ გუნდის შემორჩენილ ლონეში ეჭვის შეტანა გამორიცხულია, ხოლო „პარმას" მეოთხე ადგილთან ერთადერთი ქულა აშორებს და უხარია, რომ ხვალინდელ მოწინააღმდეგს შესაძლოა მცველები, ვალტერ სამუელი და კაფუ არ ჰყავდეს.

მეოთხეზე კი „ლაციოა". რომაელებმა ხუთშაბათს, უეფას თასის ნახევარფინალში საშინლად წააგეს (1:4) „პორტუსთან" „ლაციო" ახლა მოდენაში თამაშობს. რომაელთა დაცვას კვლავ არ ეყოლება ჰოლანდიელი იაპ სტამი, ხოლო „მოდენას" დისკვალიფიცირებული ნახევარმცველი, პაოლო პონცო ვერ დაეხმარება.

„კიევოც" კი ფიქრობს მეოთხე ადგილზე, ამას იგი ემპოლიში აკეთებს, თუმცა მეკარე კრისტიანო ლუპატელის გარეშე — ლუპატელი ვარჯიშზე ისე დაშავდა, რომ ჩვენ მომავალ სეზონამდე ვერ ვნახავთ. „ემპოლის" დისკვალიფიცირებული ჰყავს ნახევარმცველი მანუელ ბელერი და სერია A-ში დასარჩენად იბრძვის.

„ატალანტას" და „რეჯინას" ოთხი ქულა აშორებთ ერთმანეთისგან. „ატალანტა" მე-15 ადგილზეა, ხოლო „რეჯინა" მე-13-ზე. ერთი სიტყვით, როგორც ერთს, ასევე მეორეს მოგება აშკარად წაადგება, გასავარდნთა ზონას დააშორებს. ბერგამოელები ნახევარმცველების, ალექს პინარდისა და დამიანო ძენონის გარეშე იქნებიან. პირველი ავად არის, მეორე დისკვალიფიცირებულია, ხოლო „რეჯინას" ყველა ჯანზე ჰყავს და თან წინა ტურში „ემპოლისთან" 1:0 მოგებით არის ფრთაშესხმული.

„კომო" „პერუჯას" მასპინძლობს. მასპინძელი უსუსურია, სტუმარი უეფას თასზე გასვლასაც კი ფიქრობს გულში, ჩუმად, თუმცა ისიც მართალია, რომ უსუსური ამ ბოლო დროს ამოუცნობიც გახდა, ხოლო „პერუჯამ" ბოლო შვიდი მატჩიდან მხოლოდ ერთი მოიგო.



პირველი წრის მატჩი პარმელებმა „რომა" 3:0 გაანადგურეს, ერთი გოლი ადრიან მუტუმ პენალტიდან გაიტანა

# ინგლისი

[illegible] ნინიძე



რობი კინი „ელანდ როუდზეც" საგოლე მალაყს თუ აპირებს, ლიდსელებს ძალიან გააბრაზებს

# ყურები მაღლა, სერ!

| XXXIII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ვესტ ჰემი | — | ასტონ ვილა |
| ბირმინგემი | — | სანდერლენდი |
| ბლექბერნი | — | ჩარლტონი |
| ჩელსი | — | ბოლტონი |
| ლიდსი | — | ტოტენჰემი |
| ლივერპული | — | ფულემი |
| მანჩესტერ სიტი | — | მიდლსბრო |
| ნიუკასლი | — | მანჩესტერი |
| ვესტ ბრომვიჩი | — | ევერტონი |

| საღლეისო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 32 | 20 | 7 | 5 | 67:34 | 67 |
| მანჩესტერი | 32 | 20 | 7 | 5 | 55:27 | 67 |
| ნიუკასლი | 32 | 19 | 4 | 9 | 55:37 | 61 |
| ჩელსი | 32 | 16 | 9 | 7 | 59:32 | 57 |
| ევერტონი | 32 | 15 | 8 | 9 | 41:37 | 53 |
| ლივერპული | 32 | 14 | 10 | 8 | 47:35 | 52 |
| ბლექბერნი | 32 | 13 | 10 | 9 | 42:37 | 49 |
| ტოტენჰემი | 32 | 13 | 7 | 12 | 45:45 | 46 |
| ჩარლტონი | 32 | 13 | 7 | 12 | 41:45 | 46 |
| მიდლსბრო | 32 | 12 | 9 | 11 | 42:35 | 45 |
| საუთჰემპტონი | 32 | 11 | 12 | 9 | 35:33 | 45 |
| სიტი | 32 | 12 | 5 | 15 | 40:51 | 41 |
| ფულემი | 32 | 10 | 8 | 14 | 35:44 | 38 |
| ლიდსი | 32 | 11 | 4 | 17 | 44:46 | 37 |
| ასტონ ვილა | 32 | 10 | 7 | 15 | 34:38 | 37 |
| ბოლტონი | 32 | 8 | 11 | 13 | 35:47 | 35 |
| ბირმინგემი | 32 | 9 | 8 | 15 | 29:43 | 35 |
| ვესტ ჰემი | 32 | 7 | 10 | 15 | 35:54 | 31 |
| ვესტ ბრომვიჩი | 32 | 5 | 6 | 21 | 21:50 | 21 |
| სანდერლენდი | 32 | 4 | 7 | 21 | 20:52 | 19 |

**ტურის** მთავარი მატჩი რომ „ნიუკასლი" — „მანჩესტერ იუნაიტედია", მტკიცება რად უნდა. ისიც ცხადია, რომ წაგების შემთხვევაში მასპინძლებს ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლის შანსი პრაქტიკულად აღარც დარჩებათ, ხოლო „მანჩესტერი" პირველ ადგილზე გადაბარგდება, რაკი „არსენალს" ამ უქმეებზე ჩემპიონატისთვის არ სცალია, სათასო ნახევარფინალი აქვს.

საინტერესოა, რომ წინა ტურში „ევერტონთან" დამარცხების შემდეგ ნიუკასლელთა მენეჯერმა სერ ბობი რობსონმა ყურები ჩამოყარა, ჩემპიონობას ვეღარ შევწვდებითო. მაგრამ დღეს თუ მოიგო, გუნებაც უეჭველად გამოუკეთდება და ალბათ, თავის სიტყვებსაც უკან წაიღებს. ისიც გასათვალისწინებელია, რომ მომდევნო ტურში „მანჩესტერი" და „არსენალი" ერთმანეთს ხვდებიან, რომელიმე ქულებს დაკარგავს (ფრის შემთხვევაში კი ორივე), რაც ასევე „ნიუკასლის" წისქვილზე ასხამს წყალს. ერთი ეგაა, დღეს „კაჭკაჭებს" გარი სპიდი ერ ეყოლებათ.

„მანჩესტერზე" კი ის ვთქვათ, რომ „რეალთან" მარცხის მერე მოსაგებად ორმაგად დაგეშილი უნდა იყოს.

მეორე ტურია, „ჩელსის" დაბლამფრენ გუნდებთან უწევს თამაში. ლონდონელებმა წინა ტურში ბოლოადგილოსანი „სანდერლენდი" დაიბრიყვეს ყმაწვილი კარლტონ კოულის გოლით, ახლა კი ცარიელი ლაზარეთით უმასპინძლებენ მეთექვსმეტეზე მყოფ „ბოლტონს". ოღონდ ნუ აჩქარდებით და „ჩელსის" უპირობო ფავორიტად ნუ ჩავთვლით, რადგან საპირისპირო არგუმენტებიც არსებობს. კერძოდ, ბოლტონელებმა ბოლო სამი მატჩი მოიგეს, თან ისე, ერთი გოლიც არ გაუშვიათ. ამბობენ, რაც ლიონელი მცველი ფლორენ ლავილი აიყვანეს იჯარით, მას მერე გახდა „ბოლტონის" დაცვა გაუვალიო.

„ლივერპულმა" და „ფულემმა" წინა ტურში ერთნაირი ანგარიშით, 0:4 წააგეს, „ლივერპულმა" „მანჩესტერთან", „ფულემმა" კი „ბლექბერნთან" და ახლა ერთმანეთს ხვდებიან. აქ სიახლე ისაა, რომ ზურგი მოირჩინა და თამაშს შესძლებს მასპინძელთა იმედი, მაიკლ ოუენი, ვინაც ნაკრების თამაშისას დაშავდა და „მანჩესტერთან" შეხვედრა გამოტოვა.

დროებით მენეჯერად პიტერ რიდის დანიშვნა იღბლიანი გამოდგა „ლიდსისთვის". ვალებში ჩაფლულმა გუნდმა წინა უქმეებზე 6:1 მოუგო „ჩარლტონს", ახლა კი „ტოტენჰემს" მასპინძლობს. ეს ნიშნავს, რომ „ელან როუდზე" პირველად დაბრუნდება რობი კინი, რომელიც აგვისტოში გამოეთხოვა ლიდსელებს. საფიქრებელია, რომ ირლანდიელს ძველი თაყვანისმცემლები ცივად შეხვდებიან, რადგან ამათი პირველი წრის მატჩში, რომელიც „ტოტენჰემმა" 2:0 მოიგო, ერთი გოლი ძველ მეგობრებს კინმაც გაუტანა. ზოგადად ეს ფეხბურთელი კარგ ფორმაშია და ბოლო ტურში „ბირმინგემსაც" გაუტანა.

„ტოტენჰემს" არ ეყოლება ჯეიმი რედნაპი, ვინაც დეკემბრის მერე მკურნალობს და სავარაუდოდ, მომდევნო კვირაში დაბრუნდება.

დღეს შესაძლოა, „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი" გამოეთხოვოს პრემიერლიგას. თუ ბოლო ექვსი მატჩის წამგები ვესტ ბრომვიჩელები მეშვიდესაც წააგებენ, „ბოლტონი" და „ბირმინგემი" კი გაიმარჯვებენ, „ალბიონს" აღარაფერი ეშველება. ისიც სათქმელია, რომ მისი მეტოქე წელგამართული „ევერტონია", თან მასპინძლებს ორი ფეხბურთელი დააკლდებათ: მცველები დარენ მური და ფილ ჯილკრისტი მუხლებს იტკიებენ. ამას ემატება, რომ „ევერტონს" გამოუჯანმრთელდა კანადელი ფორვარდი ტომას რაძინსკი და უეინ რუნიც ჩინებულ ფორმაშია. თუმცა ლივერპულელებს დანაკლისიც აქვთ: ალესანდრო პისტონე, ტობიას ლინდეროტი და როდრიგო კოშტა.

ეს ტური, ვინძლო, „სანდერლენდისთვისაც" გავარდნის გამფორმებელი გამოდგეს.

# გერმანია

დავით თავართქილაძე

# მწარე ეპიცენტრი

## ზევით, ქვევით და შუაში – ყველგან ხუთვაა

**XXVIII ტური**

**დღეს**

გლადბახი — ნიურნბერგი
არმინია — მიუნხენ 1860
ბაიერნი — ვერდერი
ლაუტერნი — ჰანზა
ჰერტა — ბოხუმი
შტუტგარტი — ლევერკუზენი
ჰამბურგი — დორტმუნდი

**ხვალ**

შალკე — კოტბუსი
ვოლფსბურგი — ჰანოვერი

**საღლეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 27 | 19 | 6 | 2 | 59:18 | 63 |
| შტუტგარტი | 27 | 14 | 7 | 6 | 43:31 | 49 |
| დორტმუნდი | 27 | 13 | 8 | 6 | 42:22 | 47 |
| ჰამბურგი | 27 | 12 | 7 | 8 | 33:32 | 43 |
| ჰერტა | 27 | 12 | 6 | 9 | 41:31 | 42 |
| შალკე | 27 | 9 | 13 | 5 | 36:30 | 40 |
| ვერდერი | 27 | 12 | 4 | 11 | 42:41 | 40 |
| მიუნხენი | 27 | 10 | 7 | 10 | 35:41 | 37 |
| ვოლფსბურგი | 27 | 10 | 5 | 12 | 31:34 | 35 |
| ჰანზა | 27 | 9 | 7 | 11 | 28:32 | 34 |
| ჰანოვერი | 27 | 9 | 6 | 12 | 39:49 | 33 |
| ლაუტერნი | 27 | 8 | 8 | 11 | 35:35 | 32 |
| არმინია | 27 | 7 | 10 | 10 | 29:33 | 31 |
| ბოხუმი | 27 | 8 | 7 | 12 | 41:48 | 31 |
| ლევერკუზენი | 27 | 8 | 6 | 13 | 36:43 | 30 |
| გლადბახი | 27 | 8 | 5 | 14 | 28:38 | 29 |
| ნიურნბერგი | 27 | 8 | 5 | 14 | 30:45 | 29 |
| კოტბუსი | 27 | 6 | 5 | 16 | 28:53 | 23 |

სანამ გერმანიის საფეხბურთო ლიგა მიუნხენის „ბაიერნს" განაჩენს გამოუტანს „კირხმედიასთან" საიდუმლო გარიგების გამო, ეპიცენტრი მიონხენგლადბახშია — იქაური „ბორუსია" ასევე არგავარდნისთვის მებრძოლ „ნიურნბერგს" დაეჭიდება.

70-იან წლებში ევროპის ერთ-ერთი სიმპათიური გუნდი გახლდათ გლადბახური „ბორუსია", შეიძლება ითქვას, დიდი გუნდიც, მაგრამ ძველი დიდება ვერა და ვერ დაიბრუნა — გერმანიის ხუთგზის ჩემპიონი ბოლო თხუთმეტი წელია პირველ-მეორე ბუნდესლიგებში აქეთ-იქით რომ მოგზაურობს.

დღევანდელი მატჩი ვინძლო გადამწყვეტი აღმოჩნდეს ორივე გუნდისთვის — ამ შეხვედრას ძალიან დიდი ფასი აქვს მიუხედავად იმისა, რომ კიდევ ექვსი ტური რჩება სათამაშო.

„ბუნდესლიგიდან მორიგი გავარდნა „გლადბახს" ორ-სამი წლით უკან დახევს და ეს ძალიან მწარე იქნება" — დასძენს ბორუსიელთა დამრიგებელი ევალდ ლინენი, რომელმაც ამ პოსტზე ერთი თვის წინ ჰანს მაიერი შეცვალა.

კლაუს აუგენტალერის „ნიურნბერგს" იმდენი ფეხბურთელი ჰყავს დაშავებული, რომ ერთი თერთმეტეული გამოდნება. თანაც „ნიურნბერგს" ფინანსური გაჭირვებაც მოეჭიდა — ვალად სამი მილიონი ევრო აწევს.

არხეინად საქმე არც „კაიზერსლაუტერნსა" და „ჰანზას" აქვთ — მათი ჯახი უბრალო რამ არ უნდა იყოს, თუმც როსტოკელებს ბუნდესლიგიდან გავარდნა ნაკლებად ემუქრებათ.

ერიკ გერეტსის გუნდში ყველანი ჯანზე არიან და დისკვალიფიცირებული არავინაა, ხოლო „ჰანზას" ორი შუახაზელი ჰყავს შეუძლოდ — იოაკიმ პერსონი და კევინ ჰანსენი.

საინტერესოდ გამოსჭვივის „შტუტგარტ" — „ლევერკუზენის" დაპირისპირება. წინა ტურში ფარმაკოლოგებმა ახალი სპორტული დირექტორი იურგენ კოლერი იმად შეიშვნეს, რომ შინ „ჰერტას" გადაურბინეს 4:1, ხოლო „შტუტგარტმა" კოტბუსელთა ძლევით ჩემპიონ „დორტმუნდს" გადაასწრო და მეორე ადგილზე წამოსკუპდა — ფელიქს მაგათის გუნდი კვლავაც მოისაკლისებს პირველ მეკარე ტიმო ჰილდებრანდს, „ლევერკუზენს" კი ახლად ტრავმირებული არავინ მოემატება.

სასეირო უნდა გამოდგეს მატჩი „ოლიმპიაშტადიონზე" — წინა ტურის გმირი, „დორტმუნდის" გასვლაზე მგზნებლი ბრემენის „ვერდერი" იგივეს მიუნხენში ეცდება — „ბაიერნს" ზამთრის შესვენების მერე არ წაუგია და, ბოლოს და ბოლოს, ფეხი ხომ უნდა დაუცდეს?! თანაც ბავარიელების რვა ფეხბურთელი ტრავმირებულია.

ზედიზედ ექვსი მატჩი არ მოუგია „შალკეს", ახალი მწვრთნელი მარკ ვილმოტსის ხელში კი არც ერთი — „ხუმარები" დღეს აუტსაიდერ „კოტბუსს" მასპინძლობენ და ვინძლო, ნავსიც გატეხონ. გელზენკირხენელებს არგენტინელი მცველი ანიბალ მატელანი მოაკლდებათ დისკვალიფიკაციის გამო.

ძვალთამტვრევის მოლოდინშია ჰამბურგი — იქაურები ცხრილში ერთი საფეხურით ზევით მდგომ „დორტმუნდს" მასპინძლობენ. „ჰამბურგს" ლაითინობიჭები გამოუკანმრთელდა — როდოლფო კარდოზო და ბერნარდო რომეო, ჩემპიონ „დორტმუნდს" კი კრისტოფ მეცელდერი ჰყავს საქმო.

უეფენბერგიდ დარჩენილი „ვოლფსბურგი" რამდენიმე ტრავმირებულსაც მოისაკლისებს და წესით, „ჰანოვერის" დამარცხება უნდა გაუჭირდეს.

ცხრილის შუაგულში ერთი მატჩიცაა — „არმინია" — „მიუნხენი". მასპინძლებს საშხრეთკორეელი შემტევი არ ეყოლებათ — დუ-რი ჩას წვივის კუნთი ასტკივდა. მიუნხენელთაგან კი რა ხანია მუხლი ვერ მოიშუშა 36 წლის თომას ჰესლერმა, რომელიც სეზონის დამთავრების შემდეგ პენსიაზე გასვლას აპირებს.

ლევერკუზენში შერცხვენილი ბერლინის „ჰერტა" მცველ მარკო რემერს ვერ დაიხმარს ტრავმის გამო. ღედაქალაქელთა მეტოქე „ბოხუმმა" ბუნდესლიგაში დაბრუნება რიხიანი სტარტით აღნიშნა, მაგრამ ახლა არგავარდნისთვის იბრძვის — ბოხუმელებს ასევე მცველი ფრანკ ფარენჰორსტი დამტვრევიათ.





კლაუს აუგენტალერს და ევალდ ლინენს თავიანთი გუნდები პირველი ბუნდესლიგისთვის არ ემეტებათ

# ესპანეთი

გიორგი დარხანია

# პრიმერული ზღაპარი

## ბარსელონა და რეალი დაძმობილდნენ

ბედის ირონიაც ამას ჰქვია: დღეს „ბარსელონა" „რეალს" ესპანეთის ჩემპიონის 29-ე ტიტულის მოგებაში უნდა დაეხმაროს. ცხრილს და განრიგს ჩავხედოთ — თუ „ბარსელონა" „დეპორტივოს" დაამარცხებს, „რეალი" კი სან სებასტიანში მოიგებს, მადრიდებელი ცხრა ქულით გაიჭრებიან წინ და როგორ დავიჯეროთ, რომ დარჩენილ ცხრა ტურში ისე წაზდებიან, ეს უპირატესობა წყალს გაატანონ. ერთი სიტყვით, პრიმერადივიზიონის ამ ტურში ერთბაშად ორი მთავარი თამაშია.

„რეალ სოსიედადის" რუსმა ნახევარმცველმა ვალერი კარპინმაც ეს თქვა: „თუ „რეალს" მოვუგებთ, საჩემპიონო ბრძოლა გაგრძელდება, დამარცხების შემთხვევაში კი ჩემპიონობის შანსი აღარ გვრჩება. „რეალი" ცხრა ქულით გაგვისწრებს და ვერ წარმომიდგენია, ვინ უნდა წაართვას მას ეს ქულები".

„რეალი" სეზონის ბოლოსკენ სულ უფრო და უფრო ძლიერდება, რისი დასტურიც ამ სამშაბათს „მანჩესტერ იუნაიტედის" ძლევაცაა. ამასთანავე, „რეალს" დაშავებული არავინ ჰყავს, ანუ უძლიერესი შემადგენლობით ითამაშებს. „სოსიედადი" კი ხაბი ალონსოს დროებით გამოუვანმრთელების იმედზეა.

**XXIX ტური**

**დღეს**

სევილია — ვილიარეალი
ბარსელონა — დეპორტივო

**ხვალ**

რაიო ვალეკანო — ბილბაო
ატლეტიკო — ესპანიოლი
სელტა — ბეტისი
ვალენსია — ოსასუნა
მალაგა — ვალიადოლიდი
უელვა — ალავესი
მალიორკა — რასინგი
სოსიედადი — რეალი

**საღლეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 28 | 17 | 9 | 2 | 64:27 | 60 |
| დეპორტივო | 28 | 16 | 6 | 6 | 45:30 | 54 |
| სოსიედადი | 28 | 15 | 9 | 4 | 48:36 | 54 |
| ვალენსია | 28 | 13 | 8 | 7 | 42:23 | 47 |
| სელტა | 28 | 13 | 6 | 9 | 33:24 | 45 |
| ბეტისი | 28 | 11 | 8 | 9 | 38:37 | 41 |
| ატლეტიკო | 28 | 10 | 9 | 9 | 38:34 | 39 |
| სევილია | 28 | 10 | 9 | 9 | 24:21 | 39 |
| ბარსელონა | 28 | 9 | 9 | 10 | 44:36 | 36 |
| ბილბაო | 28 | 10 | 6 | 12 | 40:46 | 36 |
| მალიორკა | 28 | 10 | 6 | 12 | 30:42 | 36 |
| მალაგა | 28 | 8 | 11 | 9 | 35:33 | 35 |
| ვილიარეალი | 28 | 9 | 8 | 11 | 28:32 | 35 |
| ვალიადოლიდი | 28 | 9 | 5 | 14 | 27:32 | 32 |
| რასინგი | 28 | 10 | 2 | 16 | 34:43 | 32 |
| ესპანიოლი | 28 | 8 | 7 | 13 | 29:36 | 31 |
| ოსასუნა | 28 | 7 | 9 | 12 | 27:35 | 30 |
| ალავესი | 28 | 7 | 9 | 12 | 31:50 | 30 |
| უელვა | 28 | 6 | 9 | 13 | 27:49 | 27 |
| რაიო | 28 | 7 | 5 | 16 | 25:43 | 26 |



დარკო კოვაჩევიჩი, ცხადია, ხვალ „რეალისთვის" გოლის გატანას ეცდება

„ბარსელონას" საქმე ისეა, რომ სულაც არ აინტერესებს, ვინ გახდება ჩემპიონი, რადგან თავისი პრობლემები მისძალებია. კატალონიელებს ხუთი ქულა აშორებს საუეფაისო ზონასთან, საჩემპიონთალიგოსთან კი მთელი თერთმეტი. ვინძლო მათთვის ამ თერთმეტი ქულის ამოქაჩვაზე იოლი ჩემპიონთა ლიგაში სამი გუნდის დამარცხება და თასის მოგება იყოს.

„იუვენტუსთან" ფრის გაზერხებას შეეწირნენ ფრანკ დე ბური, კარლეს პუიოლი და ჩავი, თუმცა ლუის ენრიკე ალბათ სასტარტო შემადგენლობაში ითამაშებს — ახლადტრავმამოშუშებულმა კაპიტანმა ტურინში ბოლო წუთებზე შეცვლაზე ითამაშა.

„დეპორტივოც" „სოსიედადის" დღეშია, ანუ უკეჭველად გამარჯვება სჭირდება. ხავიერ ირურეტას დისკვალიფიცირებული ჰყავს სესარი, ხოლო ჟორჟე ანდრადე დაშავებულია. ვერ ითამაშებს ხოსე მოლინაც.

„ვალენსია" საჩემპიონო ბრძოლაში აღარ ერევა და იმის ცდაშია, როგორმე მეოთხე ადგილიდან ქვევით აღარ ჩაცარდეს. ჯერ კიდევ მოქმედ ჩემპიონს ცუდი კვირა ჰქონდა, ჯერ „ბეტისთან" წააგო, მერე „ინტერთან", ახლა კი „ოსასუნას" მასპინძლობს. პამპლონელები, თავის მხრივ, არგავარდნისთვის იბრძვიან.

„ვალენსიას" მეოთხე ადგილს „სელტა" და „ბეტისი" ეცილებიან. ხვალ ისინი ერთმანეთში არკვევენ ურთიერთობას. „სელტამ" თუ მოიგო, „ვალენსია" — „ოსასუნას" მატჩის შედეგის გათვალისწინებით, ეგებ ამ ტურის მერე დაიბევოს მეოთხეობა, „ბეტისს" კი ჯერ ვიგოელთა დაწევა მართებს, რაც ბლომად დაშავებული ფეხბურთელების გარეშე უნდა მოახერხოს. თუმცა ისიცაა, რომ დამტვრეულთა სიმრავლის მიუხედავად სევილიელებმა წინა ტურში „ვალენსიას" მაინც სძლიეს.

ცხრილში ამათ მოსდევს მადრიდის „ატლეტიკო", რომელსაც ზედიზედ სამი თამაში არ მოუგია და ამ ტურში „ესპანიოლს" მასპინძლობს. დედაქალაქელებს რუმინელი მცველი კოზმინ კონტრა არ ეყოლებათ, რომელიც ერთი კვირის წინ, „ბილბაოსთან" შეხვედრისას გააძევეს და დისკვალიფიცირებულია. „ესპანიოლს" ოდენ ერთი ქულა აშორებს გასავარდნ ზონასთან, თუმც ხავიერ კლემენტემ იმდენი მოახერხა, ზედიზედ ხუთი ტურია, არ დამარცხებულა და მომავალსაც იმედიანად უყურებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიო აბულედიანის

სვეტი

# მცველები

იმ დღეს ეკრანზე გამოჩნდა ჩირო ფერარას ძალიან დაღლილი სახე, წინა საღამოს კი ეკრანზევე გამოჩნდა ფერნანდო იეროს არანაკლებ გათანგული სახე. მე კიდევ ლორან ბლანი გამახსენდა, რომელსაც ამ შუა კვირაში რომ ეთამაშა, ასეთივე დაღლილი სახე ექნებოდა, დაუნანებლად რომ წყდება ოფლის წვეთები.

მოკლედ, ბებერი მცველების, დიდი ბებერი მცველების ამბავს მოგახსენებთ, რომლებიც, ვინ იცის, როგორ ახერხებენ უგრძეს და მძიმე სეზონებში მონაწილეობას.

ისინი ძალიან დაღლილები არიან, ძველებური აღარც მყესი შერჩენიათ გაუცვეთავი და ჯანიც ძველებური ველარ აქვთ. სამაგიეროდ, ეს ბებერი დიდი მცველები სწორედ ის ხალხია, ვინც საერთოდ ყველაფერი იცის ფეხბურთში. რას მოსწრებიან, ვისთან ერთად უთამაშიათ, რა ფინალები გამოუვლიათ და როგორი ღირსებით და ვარსკვლავობით, ცნობილია. ფეხბურთს კი ისა აქვს ცუდი, რომ როცა კაცმა უკვე ყველაფერი იცის, სწორედ მაშინ უნდა დაანებოს თავი. ანუ ამ საოცარ ცოდნას ჯანს ველარ მიადევნებ და გამოცდილების ხარჯზე გადიხარ ფონს. ცვდება ეს ოხერი ჯანი და შენც, ყველაფრის მცოდნე არაჩვეულებრივი ფეხბურთელი, გადიხარ მოედანზე და ცდები, როგორც ჩვეულებრივი ფეხბურთელი.

რაც უნდა მაგარი იყო, რახან მცველი ხარ, მაინც ყველა იმას დარაჯობს, როდის შეცდები.

ეს სამწუხაროა, მაგრამ ასეთია მცველის ხელობა. აი, ახლაც, ბევრი უცხოურ ფეხბურთზე მწერალი ჟურნალისტი ამოიოხრებს ხოლმე, ეჰ, ჩირო დაბერდაო; იერომ დღეს კარგად ითამაშა, მაგრამ ხომ ხედავთ, ძლივსლა დადისო. იმის ძალა კიდევ მოუკრებია, რომ აი, ასეთ თამაშში, სამშაბათს რომ იყო, დონეზე იდგაო. ბლანიც რა, გამოვა, დაიმტვრევა, დაიკარგება ორი თვით, გამოვა, დაიმტვრევა.

სევდის მომგვრელია ეს ყველაფერი. ამგვარი ტიტულების მომგები, ფეხბურთის ამგვარად მცოდნე ხალხი რომ ასე, უკან სვლით, თანდათანობით მიდის თამაშიდან. ცდებიანო. ახალგაზრდები ცდებიან ისე, რომ გული გაგისკდება კაცს. ამათი შეცდომები კი ულონობის შეცდომებია ხოლმე და არა არცოდნის. გრაალის მცველებიო, რომ იტყვიან ხოლმე. ჩემი ფიქრით ეს სამნი არიან თამაშის მცველები, ანუ ფეხბურთის მცველები. ამ სამ კაცს რომ უკაპიტნია, ამ სამ კაცს რომ უთამაშია, მეტი რაღა გინდა. განა მარტო ესენი არიან, მე კაფუსაც მივუყენებდი, რა თქმა უნდა, და მაშინ იქნებოდნენ მთლად ბებერი მუშკეტერებივით ოცი წლის შემდეგ. უბრალოდ, ეს სამნი ერთმანეთის მიყოლებით წამოტივტივდნენ, რადგან ერთი იერის, ერთი ხმელი აგებულების ბიჭები არიან და პოზიციაც მინდორზე ერთი აქვთ. თქვენი არ ვიცი, მაგრამ მე არ მემეტება ესენი მინდორს გარეთ ყოფნისთვის. თუმცა ვიცი, როგორ არა, არც თქვენ გემეტებათ.

| 22.00 | 2525 | სევილია-ვილიარეალი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 00.30 | 2526 | ბარსელონა-დეპორტივო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| | | **13 აპრილი** | | | |
| 20.30 | 2527 | შალკე-კოტბუსი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 20.30 | 2528 | ვოლფსბურგი-ჰანოვერი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 18.00 | 2529 | ატალანტა-რეჯინა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 18.00 | 2530 | ემპოლი-კიევო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 18.00 | 2531 | მოდენა-ლაციო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 18.00 | 2532 | რომა-პარმა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 18.00 | 2533 | ტორინო-პიაჩენცა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 18.00 | 2534 | უდინეზე-ბრეშა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 23.30 | 2535 | ბოლონია-იუვენტუსი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15.00 | 2536 | უელვა-ალავესი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 20.00 | 2537 | ატლეტიკო-ესპანიოლი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 20.00 | 2538 | მალიორკა-რასინგი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 21.00 | 2539 | სელტა-ბეტისი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 21.00 | 2540 | რაიო-ბილბაო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 22.00 | 2541 | სოსიედადი-რეალი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 21.00 | 2542 | მალაგა-ვალიადოლიდი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 23.30 | 2543 | ვალენსია-ოსასუნა | 3.0 | 2.8 | 2.0 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **12 აპრილი** | | |
| 18.30 | 2407 | მიონხენგლადბახი-ნიურნბერგი | 1,6 | 2,4 |
| 18.30 | 2408 | არმინია-მიუნხენი | 1,75 | 2,1 |
| 18.30 | 2409 | ბაიერნი-ვერდერი | 1,25 | 3,6 |
| 18.30 | 2410 | კაიზერსლაუტერნი-ჰანზა | 1,55 | 2,5 |
| 18.30 | 2411 | ჰერტა-ბოხუმი | 1,25 | 3,6 |
| 18.30 | 2412 | შტუტგარტი-ლევერკუზენი | 1,55 | 2,5 |
| 18.30 | 2413 | ჰამბურგი-დორტმუნდი | 1,8 | 2,0 |
| 16.30 | 2414 | ნიუკასლი-მანჩესტერი | 2,0 | 1,8 |
| 19.00 | 2415 | ბირმინგემი-სანდერლენდი | 1,25 | 3,6 |
| 19.00 | 2416 | ბლექბერნი-ჩარლტონი | 1,6 | 2,4 |
| 19.00 | 2417 | ჩელსი-ბოლტონი | 1,2 | 4,0 |
| 19.00 | 2418 | ლიდსი-ტოტენჰემი | 1,65 | 2,3 |
| 19.00 | 2419 | ლივერპული-ფულემი | 1,25 | 3,6 |
| 19.00 | 2420 | სიტი-მიდლსბრო | 1,7 | 2,2 |
| 19.00 | 2421 | ვესტ ბრომვიჩი-ევერტონი | 2,3 | 1,65 |
| 19.00 | 2422 | ვესტ ჰემი-ასტონ ვილა | 1,65 | 2,3 |
| 21.00 | 2423 | კომო-პერუჯა | 1,9 | 1,9 |
| 23.30 | 2424 | ინტერი-მილანი | 1,9 | 1,9 |
| 22.00 | 2425 | სევილია-ვილიარეალი | 1,65 | 2,3 |
| 00.30 | 2426 | ბარსელონა-დეპორტივო | 1,8 | 2.0 |
| | | **13 აპრილი** | | |
| 20.30 | 2427 | შალკე-კოტბუსი | 1,2 | 4,0 |
| 20.30 | 2428 | ვოლფსბურგი-ჰანოვერი | 1,6 | 2,4 |
| 18.00 | 2429 | ატალანტა-რეჯინა | 1.55 | 2,5 |
| 18.00 | 2430 | ემპოლი-კიევო | 1,75 | 1,85 |
| 18.00 | 2431 | მოდენა-ლაციო | 2,1 | 1,75 |
| 18.00 | 2432 | რომა-პარმა | 1,65 | 2.3 |
| 18.00 | 2433 | ტორინო-პიაჩენცა | 1,9 | 1,9 |
| 18.00 | 2434 | უდინეზე-ბრეშა | 1,6 | 2.4 |
| 23.30 | 2435 | ბოლონია-იუვენტუსი | 2,2 | 1,7 |
| 15.00 | 2436 | უელვა-ალავესი | 1,75 | 2,1 |
| 20.00 | 2437 | ატლეტიკო-ესპანიოლი | 1,6 | 2.4 |
| 20.00 | 2438 | მალიორკა-რასინგი | 1.6 | 2,4 |
| 21.00 | 2439 | სელტა-ბეტისი | 1.65 | 2.3 |
| 21.00 | 2440 | რაიო-ბილბაო | 1,8 | 2.0 |
| 22.00 | 2441 | სოსიედადი-რეალი | 1,95 | 1,85 |
| 21.00 | 2442 | მალაგა-ვალიადოლიდი | 1,65 | 2,3 |
| 23.30 | 2443 | ვალენსია-ოსასუნა | 1,4 | 3.0 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **12 აპრილი** | | |
| 18.30 | 2207 | მიონხენგლადბახი-ნიურნბერგი | 1,9 | 1,7 |
| 18.30 | 2208 | არმინია-მიუნხენი | 1,95 | 1,65 |
| 18.30 | 2209 | ბაიერნი-ვერდერი | 2,0 | 1,6 |
| 18.30 | 2210 | კაიზერსლაუტერნი-ჰანზა | 1,95 | 1,65 |
| 18.30 | 2211 | ჰერტა-ბოხუმი | 2,0 | 1,6 |
| 18.30 | 2212 | შტუტგარტი-ლევერკუზენი | 2.0 | 1,6 |
| 18.30 | 2213 | ჰამბურგი-დორტმუნდი | 1,9 | 1,7 |
| 16.30 | 2214 | ნიუკასლი-მანჩესტერი | 1,9 | 1,7 |
| 19.00 | 2215 | ბირმინგემი-სანდერლენდი | 1.9 | 1,7 |
| 19.00 | 2216 | ბლექბერნი-ჩარლტონი | 1,9 | 1,7 |
| 19.00 | 2217 | ჩელსი-ბოლტონი | 1,95 | 1,65 |
| 19.00 | 2218 | ლიდსი-ტოტენჰემი | 1,9 | 1,7 |
| 19.00 | 2219 | ლივერპული-ფულემი | 1,9 | 1,7 |
| 19.00 | 2220 | სიტი-მიდლსბრო | 1,85 | 1,75 |
| 19.00 | 2221 | ვესტ ბრომვიჩი-ევერტონი | 1,85 | 1,75 |
| 19.00 | 2222 | ვესტ ჰემი-ასტონ ვილა | 1,8 | 1,8 |
| 21.00 | 2223 | კომო-პერუჯა | 1.85 | 1,75 |
| 23.30 | 2224 | ინტერი-მილანი | 1,95 | 1,65 |
| 22.00 | 2225 | სევილია-ვილიარეალი | 1,75 | 1,85 |
| 00.30 | 2226 | ბარსელონა-დეპორტივო | 2.0 | 1,6 |
| | | **13 აპრილი** | | |
| 20.30 | 2227 | შალკე-კოტბუსი | 1,95 | 1,65 |
| 20.30 | 2228 | ვოლფსბურგი-ჰანოვერი | 1.95 | 1,65 |
| 18.00 | 2229 | ატალანტა-რეჯინა | 1,75 | 1,85 |
| 18.00 | 2230 | ემპოლი-კიევო | 1,8 | 1.8 |
| 18.00 | 2231 | მოდენა-ლაციო | 1.9 | 1.7 |
| 18.00 | 2232 | რომა-პარმა | 1,9 | 1,7 |
| 18.00 | 2233 | ტორინო-პიაჩენცა | 1,9 | 1,7 |
| 18.00 | 2234 | უდინეზე-ბრეშა | 1,9 | 1.7 |
| 23.30 | 2235 | ბოლონია-იუვენტუსი | 1.8 | 1.8 |
| 15.00 | 2236 | უელვა-ალავესი | 1,9 | 1,7 |
| 20.00 | 2237 | ატლეტიკო-ესპანიოლი | 1,9 | 1,7 |
| 20.00 | 2238 | მალიორკა-რასინგი | 1,9 | 1,7 |
| 21.00 | 2239 | სელტა-ბეტისი | 1,9 | 1,7 |
| 21.00 | 2240 | რაიო-ბილბაო | 1,9 | 1,7 |
| 22.00 | 2241 | სოსიედადი-რეალი | 1,95 | 1,65 |
| 21.00 | 2242 | მალაგა-ვალიადოლიდი | 1,85 | 1,75 |
| 23.30 | 2243 | ვალენსია-ოსასუნა | 1.9 | 1,7 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | | კი | არა |
|---|---|---|---|---|
| | | **12 აპრილი** | | |
| 18.30 | 2307 | მიონხენგლადბახი-ნიურნბერგი | 1.65 | 1,95 |
| 18.30 | 2308 | არმინია-მიუნხენი | 1,65 | 1,95 |
| 18.30 | 2309 | ბაიერნი-ვერდერი | 1,7 | 1,9 |
| 18.30 | 2310 | კაიზერსლაუტერნი-ჰანზა | 1,7 | 1.9 |
| 18.30 | 2311 | ჰერტა-ბოხუმი | 1,7 | 1,9 |
| 18.30 | 2312 | შტუტგარტი-ლევერკუზენი | 1,65 | 1,95 |
| 18.30 | 2313 | ჰამბურგი-დორტმუნდი | 1.65 | 1,95 |
| 16.30 | 2314 | ნიუკასლი-მანჩესტერი | 1,65 | 1,95 |
| 19.00 | 2315 | ბირმინგემი-სანდერლენდი | 1,75 | 1,85 |
| 19.00 | 2316 | ბლექბერნი-ჩარლტონი | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 2317 | ჩელსი-ბოლტონი | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 2318 | ლიდსი-ტოტენჰემი | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 2319 | ლივერპული-ფულემი | 1,75 | 1,85 |
| 19.00 | 2320 | სიტი-მიდლსბრო | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 2321 | ვესტ ბრომვიჩი-ევერტონი | 1,75 | 1,85 |
| 19.00 | 2322 | ვესტ ჰემი-ასტონ ვილა | 1,75 | 1,85 |
| 21.00 | 2323 | კომო-პერუჯა | 1,7 | 1,9 |
| 23.30 | 2324 | ინტერი-მილანი | 1,6-2,0 | |
| 22.00 | 2325 | სევილია-ვილიარეალი | 1,7 | 1,9 |
| 00.30 | 2326 | ბარსელონა-დეპორტივო | 1,6-2,0 | |
| | | **13 აპრილი** | | |
| 20.30 | 2327 | შალკე-კოტბუსი | 1,75 | 1,85 |
| 20.30 | 2328 | ვოლფსბურგი-ჰანოვერი | 1,65 | 1,95 |
| 18.00 | 2329 | ატალანტა-რეჯინა | 1,7 | 1.9 |
| 18.00 | 2330 | ემპოლი-კიევო | 1,7 | 1,9 |
| 18.00 | 2331 | მოდენა-ლაციო | 1.7,1,9 | |
| 18.00 | 2332 | რომა-პარმა | 1,65 | 1,95 |
| 18.00 | 2333 | ტორინო-პიაჩენცა | 1.65 | 1,95 |
| 18.00 | 2334 | უდინეზე-ბრეშა | 1,7 | 1,9 |
| 23.30 | 2335 | ბოლონია-იუვენტუსი | 1,7 | 1,9 |
| 15.00 | 2336 | უელვა-ალავესი | 1,7 | 1,9 |
| 20.00 | 2337 | ატლეტიკო-ესპანიოლი | 1,65 | 1,95 |
| 20.00 | 2338 | მალიორკა-რასინგი | 1,7 | 1,9 |
| 21.00 | 2339 | სელტა-ბეტისი | 1,7 | 1,9 |
| 21.00 | 2340 | რაიო-ბილბაო | 1,7 | 1,9 |
| 22.00 | 2341 | სოსიედადი-რეალი | 1,65 | 1,95 |
| 21.00 | 2342 | მალაგა-ვალიადოლიდი | 1,7 | 1,9 |
| 23.30 | 2343 | ვალენსია-ოსასუნა | 1.75 | 1,85 |

## 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **12 აპრილი** | | | | | | | | | |
| 18.30 | 2107 | მ.გლადბახი-ნიურნბ. | 2.6 | 10,0 | 20.0 | 3,6 | 4,4 | 7.5 | 20,0 | 10,0 | 6.5 |
| 18.30 | 2108 | არმინია-მიუნხენი | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 4,6 |
| 18.30 | 2109 | ბაიერნი-ვერდერი | 1,8 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 4,6 | 12,0 | 25,0 | 12,0 | 12,0 |
| 18.30 | 2110 | კლაუტერნი-ჰანზა | 2.6 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 18.30 | 2111 | ჰერტა-ბოხუმი | 1.9 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 4,6 | 12,0 | 25,0 | 10,0 | 12,0 |
| 18.30 | 2112 | შტუტგარტი-ლევერკ. | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 18.30 | 2113 | ჰამბურგი-დორტმუნდი | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4.2 |
| 16.30 | 2114 | ნიუკასლი-მანჩესტერი | 4.2 | 10,0 | 20,0 | 5,0 | 4,4 | 4.6 | 20,0 | 10,0 | 3,6 |
| 19.00 | 2115 | ბირმინგემი-სანდერლ. | 2,0 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 4,8 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 19.00 | 2116 | ბლექბერნი-ჩარლტონი | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 19.00 | 2117 | ჩელსი-ბოლტონი | 1,9 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 4,6 | 12,0 | 25,0 | 12,0 | 12,0 |
| 19.00 | 2118 | ლიდსი-ტოტენჰემი | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 19.00 | 2119 | ლივერპული-ფულემი | 1,8 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 4,6 | 14,0 | 25,0 | 14,0 | 14,0 |
| 19.00 | 2120 | სიტი-მიდლსბრო | 3,1 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 19.00 | 2121 | ვ.ბრომვიჩი-ევერტონი | 5,6 | 10,0 | 20,0 | 6,5 | 4,4 | 3,8 | 20,0 | 10,0 | 2,8 |
| 19.00 | 2122 | ვესტ ჰემი-ასტონ ვილა | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 21.00 | 2123 | კომო-პერუჯა | 4,0 | 10,0 | 20,0 | 5,0 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 23.30 | 2124 | ინტერი-მილანი | 4,0 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| 22.00 | 2125 | სევილია-ვილიარეალი | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 00.30 | 2126 | ბარსელონა-დეპორტივო | 3,4 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,6 |
| | | **13 აპრილი** | | | | | | | | | |
| 20.30 | 2127 | შალკე-კოტბუსი | 1,7 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 4,8 | 15,0 | 25,0 | 12,0 | 12,0 |
| 20.30 | 2128 | ვოლფსბურგი-ჰანოვერი | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 18.00 | 2129 | ატალანტა-რეჯინა | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 18.00 | 2130 | ემპოლი-კიევო | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 18.00 | 2131 | მოდენა-ლაციო | 5,0 | 10,0 | 20,0 | 6,0 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,3 |
| 18.00 | 2132 | რომა-პარმა | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 18.00 | 2133 | ტორინო-პიაჩენცა | 4,0 | 10,0 | 20,0 | 4,8 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| 18.00 | 2134 | უდინეზე-ბრეშა | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,5 |
| 23.30 | 2135 | ბოლონია-იუვენტუსი | 5,6 | 10,0 | 20,0 | 6,5 | 4,4 | 4,0 | 20,0 | 10,0 | 3,1 |
| 15.00 | 2136 | უელვა-ალავესი | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 20.00 | 2137 | ატლეტიკო-ესპანიოლი | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 20.00 | 2138 | მალიორკა-რასინგი | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 21.00 | 2139 | სელტა-ბეტისი | 2,8 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 21.00 | 2140 | რაიო-ბილბაო | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 22.00 | 2141 | სოსიედადი-რეალი | 4,0 | 10,0 | 20,0 | 4,8 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 21.00 | 2142 | მალაგა-ვალიადოლიდი | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 23.30 | 2143 | ვალენსია-ოსასუნა | 1,9 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 4,6 | 12,0 | 25,0 | 12,0 | 12,0 |


# სამ თბილისურ ბიუროში

კონსტანტინე გამსახურდიას გამზირი № 3;

ვაჟა ფშაველას გამზირი №46

(მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან", ყოფილი „დელისი");

დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, I კორპუსი

**პროკომ უქმეებზე სამუშაო დრო გაახანგრძლივა**

**შაბათი 12.00-21.30 კვირა 12.00-20.30**


**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

Euroleague

# ევროლიგა

## მეორე ჯგუფური ეტაპი. V ტური. 9-10 აპრილი

*ოთხშაბათს ევროლიგაში ქართულმა თოფმა დაიქუხა. არა, აქამდეც იჭექებდა ხოლმე, ოლიმპიელი ვლადიმერ ბოისა ისროდა, მაგრამ ოთხშაბათისას სულ სხვა მქუხარება ჰქონდა, ულქერელი ზაზა ფაჩულიას გასროლა უფრო ზარბაზანის გრუხუნს ჰგავდა*

# ფაჩულიამ ობრადოვიჩი გააცოფა

თანაც იმასაც ხომ აქვს მნიშვნელობა, ვინ გაისვრის და ვის წინააღმდეგ. ერთია, როცა ხუთეულის უცვლელი წევრი შედარებით მჭლე მეტოქეს ამოიღებს მიზანში და მეორე, როცა მთელი სეზონი სათადარიგო სკამზე მჯდომი ბობოლას გააგორებს. არ ვცდილობთ, ბოისა და ფაჩულია ერთმანეთს შევადაროთ, უბრალოდ, არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ რაც ევროლიგაში ყოჩაღი თამაშით ვოვას ქართველ ქომაგისთვის სიხარული მოუნიჭებია, ის მანამდე ჩრდილში მყოფმა ზაზა ფაჩულიამ ერთი მატჩით მოახერხა.

მეჩრდილედ კი ფაჩულიას ევროპაში სახელდაგდებული ამერიკელი ცენტრი ჯოზეფ ბლერი ჰყავდა, რომელიც როცა 40-ვე წუთს არ იმყოფებოდა მოედანზე, ქართველი მხოლოდ მაშინ თუ თამაშობდა ხოლმე კინკილა წუთებით. ეჭვი არაა, ფაჩულიას არც ოთხშაბათს მიეცემოდა თავის გამოჩენის შანსი, რომ არა ბლერის ტრავმა. მართალია, მეკანფეტეთა გუნდს ჯგუფიდან გასვლის არანაირი შანსი არ გააჩნდა, მაგრამ მეტოქედ ამ შანსის რეალური მფლობელი „პანათინაიკოსი“ ჰყავდა და თუ ბერძენთურქების „მეგობრულ“ ურთიერთობებს გავითვალისწინებთ, სტამბოლელებს ალბათ ისე არაფერი გაახარებდათ, როგორც ათენელთათვის გზის გადაღობვა ოთხთა ფინალისკენ.

ეს სიხარული სტამბოლელ ქომაგს „ულქერის“ ღრმა სათადარიგომ განაცდევინა. ევროლიგის ჩემპიონებთან სათამაშოდ ფაჩულია მოკრძალებით შევიდა მოედანზე და იქიდან თავაწეული გამოვიდა. უფრო სწორად, გამოსვლას აპირებდა და ვინ დააცალა — დიქტოფონ-კამერებით შეიარაღებულმა ჟურნალისტებმა ზაზა მოედანზევე „გაბაწრეს“.

მაინც რა გააკეთა ფაჩულიამ ასეთი? როგორც თავად გუშინდელ ინტერვიუში გვითხრა, დიდი არაფერი — ჩემი თამაში ვითამაშეო. საერთოდ ზაზას არ სჩვევია თავის ქება და „პანათინაიკოსის“ წინააღმდეგ ჩატარებული მატჩის პერიპეტიებზეც ბევრი ვერაფერი დავაცდევინეთ. უპრიანი უფრო ის იქნება, ფაჩულიას გარჯის შეფასება ამ მატჩის მნახველი ევროპელი ჟურნალისტებისგან მოვისმინოთ. აი, რას წერს ევროლიგის ოფიციალური ვებგვერდი „ულქერ“ — „პანათინაიკოსის“ მატჩზე, რაც მთლიანობაში ქართველი ცენტრის ქება-დიდებაა და მეტი არაფერი:

„ჟოზეფ ბლერის ნაცვლად მოთამაშე ზაზა ფაჩულიამ ევროლიგის ბოლო სამი ოთხთა ფინალის მონაწილე და ორგზის ჩემპიონი „პანათინაიკოსი“ ჯგუფში ჩატოვა...“

„ფაჩულიამ დააწინაურა ულქერელები ჯერ ათი, მერე ოცი ქულით და საბოლოოდაც დიდი ანგარიშით გაამარჯვებინა თავის გუნდს...“

„ულქერს“ ამ მატჩში მხოლოდ მაშინ გაუჭირდა, როცა ფაჩულიამ რამდენიმე წუთით დატოვა მოედანი. მაგრამ ქართველი სენსაცია მალევე დაბრუნდა და რაც მოისურვა, ის აკეთა ფიცარნაგზე. „პანათინაიკოსის“ გაცოფებულმა მწვრთნელმა ჟელკო ობრადოვიჩმა ფაჩულიას ხან ვინ მიუჩინა მეურვედ და ხან ვინ, მაგრამ ზაზამ პაპალოპულოსიც დაჩარგა, მიდლტონიც და ცარცარისიც, განთქმულ სერბს ქართველის გამჩერებელი კალათბურთელი იმ საღამოს არ აღმოჩნდა.“

ახლა თავად ფაჩულიას მწვრთნელ თოლგა ონგორენის აზრი გავიგოთ: „დიდი მადლობა ზაზას. ყველამ კარგად ითამაშა, მაგრამ ის განსაკუთრებული იყო. რაკი ბლერი გვაკლდა, ყველას ეგონა, რომ „ულქერს“ გაუჭირდებოდა, მაგრამ მე ფაჩულიას დიდი იმედი მქონდა და მანაც გაამართლა.“

ონგორენს ძალიანაც რომ სდომებოდა, ამ მატჩის შემდეგ მაინც ვერ იტყოდა, ფაჩულიასი არ მეიმედებოდაო. თუ „ულქერის“ თავკაცს ქართველის მართლაც დიდი იმედი აქვს, აქამდე ცოტა მეტი ხნით გაიყვანდა ხოლმე მოედანზე. რეალურად სანამ ბლერმა ფეხი არ იტკინა, ონგორენს ფაჩულია არც გახსენებია, ახლა ის იძულებულია მადლობა მოუხადოს.

ასეა თუ ისე, ფაჩულიამ დაამტკიცა, რომ ევროპის უმაღლეს დონეზე თამაში უკვე 18 წლისას შეუძლია. მან მარტომ დაამარცხა ევროპის ყველაზე ტიტულიანი მწვრთნელის, ჟელკო ობრადოვიჩის „პანათინაიკოსი“, გუნდი, რომელსაც ეს თამაში რომ მოეგო, თითქმის ინაღდებდა ოთხთა ფინალის საგზურს, რაც ბოლო სამი წელია, არ გამოუტოვებია.

ბერძნული გრანდი ბოლო ტურში შინ იტალიურ „სიენას“ ხვდებოდა, რომელიც ოთხშაბათს მოულოდნელად დამარცხდა „სკიპერთან“. წაგების მიუხედავად, სიენელებმა მაინც მოახერხეს „პანათინაიკოსის“ ჯგუფში ჩატოვება და ამისთვის პირველ რიგში ფაჩულიას უნდა უმადლოდნენ.

ფაჩულიას დიდებულმა თამაშმა დაჩრდილა ჩვენთვის მეორე სასიამოვნო ცნობა — მანუჩარ მარკოიშვილი ოთხთა ფინალში ითამაშებს. ქართველი უკანახაზელის „ბენეტონმა“ სალონიკში დრამატულ ბრძოლაში დაამარცხა თელ ავივის „მაკაბი“ და ტურით ადრე დაიბევა ჯგუფში პირველობა. მატჩი საბერძნეთში იმიტომ გაიმართა, რომ იტალიელები და ებრაელებიც მოერიდნენ ერაყის საზღვართან შორიახლოს მდებარე თელ ავივში თამაშს.

ამასობაში ვლადიმერ ბოისასაც გაუჩნდა ევროლიგის ოთხთა ფინალში თამაშის შანსი. ქართველმა ფორვარდმა თავი ვერ გამოიჩინა ფრანგულ „ვილერბანთან“ მატჩში, მაგრამ მისმა „ოლიმპიამ“ ლიუბლიანაში მაინც იოლად იმარჯვა.

სლოვენიურმა კლუბმა ბარსელონაში გასამართ ოთხთა ფინალში რომ გააღწიოს, ბოლო ტურში სწორედ „ბარსელონას“ უნდა სძლიოს კატალონიაში, რაც, ცოტა არ იყოს და, ძნელად წარმოსადგენია. თუმც შანსი შანსია და ლიუბლიანელებიც მის გამოყენებას ეცდებიან.

თავის მხრივ, ბარსელონელებმა ამ ტურში ჯგუფის ლიდერ „ოლიმპიკოსს“ სძლიეს სტუმრად და თავი გადაირჩინეს. წაგების შემთხვევაში კატალონიელები ჩემპიონობისთვის ბრძოლას ეთიშებოდნენ და მშობლიურ ქალაქში 8-10 მაისს გასამართ ოთხთა ფინალზეც მაყურებლის რანგში აღმოჩნდებოდნენ.

კიდევ ერთი ფინალისტი გაირკვა. რუსულმა ცსკა-მ მოსკოვში თურქულ „ეფესს“ მოუგო და ბარსელონაში მიემგზავრება. მაშ ასე, ოთხთა ფინალის სამი მონაწილე ცნობილია: „ბენეტონი“, ცსკა და „სიენა“. ვინ იქნება მეოთხე, „ბარსა“ თუ „ოლიმპია“? ამას ბოლო ტური გაარკვევს.

**ირაკლი პერტაია**




ვლადიმერ ბოისამ და სამო უდრიჰმა ფრანგი საშა ჟიფა გაჭყლიტეს

### D ჯგუფი

**ცსკა 66:54 ეფესი**
ცსკა: ალექსანდერი (18), ჰოლდენი (12)
ეფესი: გრანგერი (22), ბრაუნი (16)

**უნიკახა 95:87 ციბონა**
უნიკახა: გუროვიჩი (26), ესტელერი (19)
ციბონა: მაკლინტონი (25), პრკაჩინი (17)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 5 | 4 | 1 | + 58 | 9 |
| ეფესი | 5 | 3 | 2 | - 10 | 8 |
| ციბონა | 5 | 2 | 3 | - 10 | 7 |
| უნიკახა | 5 | 1 | 4 | - 38 | 6 |

### E ჯგუფი

**სიენა 64:68 სკიპერი**
სიენა: ფორდი (23), კიაჩიგი (12)
სკიპერი: ბაზილე (15), გალანდა (13)

**ულქერი 92:73 პანათინაიკოსი**
ულქერი: ფაჩულია (36 წუთი, 26 ქულა, 8 მოხსნა, 3 პასი, 3 ჩაჭრა), ბუკერი (20)
პანათინაიკოსი: ლაკოვიჩი (13), მაკდონალდი (12), ალვერტისი (12)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სიენა | 5 | 4 | 1 | + 34 | 9 |
| სკიპერი | 5 | 3 | 2 | + 6 | 8 |
| პანათინაიკოსი | 5 | 2 | 3 | - 32 | 7 |
| ულქერი | 5 | 1 | 4 | - 8 | 6 |

### F ჯგუფი

**კინდერი 85:110 ტაუ**
კინდერი: სკარონი (28)
ტაუ: ფორესტი (25), სკოლა (18)

**მაკაბი 83:84 ბენეტონი**
მაკაბი: გორეე (20), ვუიჩიჩი (16)
ბენეტონი: ლანგდონი (20), მარკოიშვილი (12 წუთი, 4 ქულა, 1 მოხსნა)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბენეტონი | 5 | 5 | 0 | + 48 | 10 |
| მაკაბი | 5 | 3 | 2 | + 46 | 8 |
| ტაუ | 5 | 2 | 3 | 0 | 7 |
| კინდერი | 5 | 0 | 5 | - 94 | 5 |

### G ჯგუფი

**ოლიმპია 87:66 ვილერბანი**
ოლიმპია: პუკიჩი (25), ბოისა (14 წუთი, 3 ქულა, 2 მოხსნა)
ვილერბანი: ოუენსი (13), ჟიფა (13)

**ოლიმპიაკოსი 55:58 ბარსელონა**
ოლიმპიაკოსი: მარკოვიჩი (21)
ბარსელონა: ფუჩა (17), იასიკევიჩუსი (12)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 5 | 4 | 1 | + 20 | 9 |
| ოლიმპიაკოსი | 5 | 3 | 2 | + 18 | 8 |
| ოლიმპია | 5 | 3 | 2 | + 11 | 8 |
| ვილერბანი | 5 | 0 | 5 | - 49 | 5 |

NBA

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

# მინდა მე მეფე?!

## შაკი საკრამენტოს ემუქრება




10 აპრილი

**ლეიკერსი 117:104 საკრამენტო**
ლეიკერსი: ბრაიანტი (34), ონილი (32)
საკრამენტო: ბიბი (24), ვებერი (24)

**ბოსტონი 78:99 ფილადელფია**
ბოსტონი: პირსი (24), უოლკერი (12)
ფილადელფია: აივერსონი (25), ტომასი (15)

რამდენიმე დღეც და ყველაფერი დასრულდება. უფრო სწორად, მეპლეიოფეები დაჯგუფდებიან, თორემ მერე იწყება, რაც იწყება. მსუქან-მსუქანი გუნდები ბოლო მოთელვას გადიან, შედარებით მჭლენიც ითელებიან, რათა ერთი მსუქანთაგანი მაინც გააგორონ პლეი ოფში. და ვინ არიან ეს მსუქანი გუნდები, თუ არა „საკრამენტო“ და „ლეიკერსი“. მათ გუშინწინ ლოს ანჯელესში წაიბურთავეს და პლეი ოფში შევხვდებითო, ერთმანეთს თავაზიანად დაემშვიდობნენ.

„საკრამენტო“ ის გუნდია, რომელსაც ალბათ პლეი ოფის რომელიღაც ეტაპზე გადავეყრებით და თუ მართლაც ასე მოხდა, ეს არ იქნება უბრალო შეხვედრა. მეტოქეს ვურჩევ, კარგად მოემზადოს, რადგან ვპირდები, რომ დიდ ბრძოლას გავუმართავთ“ — „მეგობრული“ რჩევა მისცა საკრამენტოელებს „ლეიკერსის“ მთაგორა ცენტრმა შაკილ ონილმა.

ამ გუნდებს საპლეიოფო ისტორია „საკრამენტოსთვის“ მეტად სენტიმენტალურია. ბოლო სამი წელია, „მეფეები“ ხან სად გადაეყრებიან მომავალ ჩემპიონებს და ხან სად. შარშან სულაც დასავლეთის ფინალი წააგეს ლოსანჯელესელებთან.

შაკზე კარგად აბა, ვის ეცოდინება, თუ ვინ რისი მაქნისია და ჩვენც ვეთანხმებით, რომ დიდი შანსია, მისი „ლეიკერსი“ წლეულსაც შეეყაროს საკრამენტოელებს. ეს „საკრამენტო“ შარშანდელზე ძლიერი შეიძლება არ იყოს, მაგრამ მომავალ ჩემპიონებთან წაგებებით ჭკუა უსწავლია და ვინძლო, სამწლიანი უსიამო ტრადიციაც დაარღვიოს. თუმც ასეთი თამაშით გუშინწინ რომ ილაბუცეს, „ლეიკერსამდე“ შესაძლოა, ვერც მიაღწიონ „მეფეებმა“ და თუ მიაღწიეს, ალბათ წააგებენ.

„საკრამენტო“ მხოლოდ მატჩის დებიუტში თუ ლიდერობდა მცირედით, მერე კი ჩამორჩა და თამაშის ბოლომდე 10 ქულითაც ვერ მიუახლოვდა „ლეიკერსს“. შაქმა და კობიმ „ძველი დრო“ გაიხსენეს და ორივე 30-ქულიან ზღვარს ასცდა. „მეფეთაგანაც“ ნაცადი ხალხი ილვწოდა — კრის ვებერმა და მაიკ ბიბიმ 24-24 ქულა მოაქუჩეს.

მაგრამ „საკრამენტოს“ ეს მარცხი არაფერს წყვეტს. უბრალოდ, არ გვიხსენებია ამ სტატიის დასაწყისში სიტყვა „მოთელვა“. „მეფეებმა“ რა ხანია, გაინაღდეს საკუთარი დივიზიონის პირველობა და დასავლეთ მეპლეიოფეთა ლავთარშიც მეორე ადგილს ველარავინ შეეცილება. ამიტომაც „მონარქებმა“ ლოსანჯელესური მატჩი რიგით მოთელვად გამოაცხადეს, რასაც მათი თავკაცის, რიკ ადელმანის სიტყვებიც მოწმობს — „ლეიკერსმა“ დაგვამარცხა, მაგრამ ამ ეტაპზე, ამას არა აქვს დიდი მნიშვნელობა“. ამ ბიჭების წინააღმდეგ თამაში ყოველთვის საინტერესოა, თუ მათ პლეი ოფში შევხვდებით, ნაღდი ბრძოლებიც იქ იქნება.“

საპლეიოფო სამზადისში არიან „ფილადელფია“ და „ბოსტონიც“, თუმც მათ შორის კლასში სხვაობა უფრო დიდია, ვიდრე „საკრამენტოსა“ და „ლეიკერსს“ შორის. ალენ აივერსონის სამმო პოლ პირსის დოსტებს ზემოდან დაჰყურებს. „სელტებმა“ აღმოსავლეთის საუკეთესო რვეულში ადგილი წინა დღეებში დაიბევეს და არც ისაა გამორიცხული, პლეი ოფის პირველი წრეში სწორედ გუშინწინდელ მეტოქეს, „ფილადელფიას“ შეხვდნენ. ამ მატჩში კი ალენ აივერსონის „სიქსერზმა“ „სელტიქსი“ პოპკორნივით ჩაახრაშუნა.

| აღმოსავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| დეტროიტი | 48 | 30 | 61,5 |
| ნიუ ჯერსი | 48 | 30 | 61,5 |
| ფილადელფია | 47 | 31 | 60,3 |
| ინდიანა | 46 | 32 | 59,0 |
| ნიუ ორლეანი | 43 | 35 | 55,1 |
| ბოსტონი | 42 | 37 | 53,2 |
| ორლანდო | 40 | 38 | 51,3 |
| მილუოკი | 39 | 40 | 49,4 |
| ვაშინგტონი | 36 | 42 | 46,2 |
| ნიუ იორკი | 35 | 43 | 44,9 |
| ატლანტა | 32 | 46 | 41,0 |
| ჩიკაგო | 28 | 51 | 35,4 |
| ტორონტო | 24 | 54 | 30,8 |
| მაიამი | 24 | 55 | 30,4 |
| კლივლენდი | 15 | 63 | 19,2 |

| დასავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| სან ანტონიო | 58 | 20 | 74,4 |
| საკრამენტო | 57 | 23 | 71,3 |
| დალასი | 57 | 21 | 73,1 |
| პორტლენდი | 48 | 30 | 61,5 |
| მინესოტა | 48 | 31 | 60,8 |
| ლეიკერსი | 48 | 31 | 60,8 |
| იუტა | 46 | 33 | 58,2 |
| ფინიქსი | 42 | 36 | 53,8 |
| ჰიუსტონი | 40 | 39 | 50,6 |
| სიეტლი | 39 | 39 | 50,0 |
| გოლდენ სტეიტი | 38 | 40 | 48,7 |
| მემფისი | 27 | 51 | 34,6 |
| კლიპერსი | 24 | 54 | 30,8 |
| დენვერი | 17 | 61 | 21,8 |

*შრიფტით გამორჩეული გუნდები გავიდნენ პლეი ოფში*

## რაგბი

**ჭაბუკთა მსოფლიოს თასი**
**პარიზი 10-19 აპრილი**

*საფრანგეთში დაწყებულ ჭაბუკთა მსოფლიოს თასზე საქართველოს ნაკრებმა პირველი მატჩი უელსთან 7:24 წააგო. ახლა ჭაბუკი ბორჯღალოსნები 9-16 ადგილებისთვის იბრძოლებენ. მათი მომავალი მეტოქე კანადაა, რომელიც თავის მხრივ მასპინძელ საფრანგეთთან 7:41 განადგურდა. კანადას ჩვენები ხვალ დაუპირისპირდებიან. უელსთან გამართული მატჩის შემდეგ ჩვენების მთავარ მწვრთნელ პაატა ნარიმანაშვილს საფრანგეთში დავუკავშირდით.*

# საპრეტენზიო არაფერია

## უელსმა ალალად მოგვიგო

— უელსმა ალალად მოგვიგო. არც მსაჯთან მაქვს საპრეტენზიო და არც ჩემებთან. ბიჭებმა, რაც შეეძლოთ, ითამაშეს და თავი არ დაზოგეს, მაგრამ სამწუხარო რეალობა ასეთია — დღეს ჩვენ არ შეგვიძლია ტოლ-სწორად ვეთამაშოთ ბობოლა სარაგბო ქვეყნებს.

**— შარშან იმავე უელსთან წაგებული და ახლანდელი მატჩი რომ შევადაროთ, რომელში ითამაშეს ჩვენებმა უკეთესად?**

— ალბათ, ღლევანდელი შეხვედრა სჯობდა. შარშანდელი ნაკრებიდან ოთხი-ხუთი მორაგბეა, დანარჩენები ახალბედები არიან. მიუხედავად ამისა, გამოცდილ და ბევრად მაღალი კლასის უელსელებს ზოგ რამეში აჯობეს კიდეც. რაც მთავარია, მთელი მატჩი გაძლეს, ფიზიკურად კარგად არიან მომზადებულები. საფრანგეთში მოწყობილი ოლდიანი შეკრება ძალიან მოგვიხდა.

**— კანადაზე რა იცით?**

— კანადაზე გარკვეული წარმოდგენა მაქვს. ახლა ვცდილობთ, მათი მატჩების ვიდეოფირი მოვიპოვოთ. თამაშის სტილით კანადა ძალიან ჰგავს აშშ-ს, ორივე ჩრდილოამერიკული ქვეყანაა და მათთვის დამახასიათებელ ძალისმიერ რაგბის თამაშობენ. ჩვენმა შერკინებამ თუ აჯობა, მატჩის მოგების მეტი შანსი გვექნება.

**— უელსთან მარცხის შემდეგ საუკეთესო რვა გუნდში ვერ მოხვდით. ახლა ალბათ მეცხრე-მეათე ადგილებს უმიზნებთ.**

— უელსისთვის რომ მოგვეგო, საქმეს ავიწყობდით, მაგრამ რას იზამ, თავს ზემოთ ძალა არ არის. მთავარია, წლეულს ერთი მატჩი მაინც მოვიგოთ და საუკეთესო თექვსმეტ ნაკრებში შევინარჩუნოთ ადგილი. რა თქმა უნდა, შევეცდებით, შარშანდელი შედეგი გავიმეოროთ, მეათე ადგილი დავიკავოთ.

**ბაჩო სვანიძე**

**2003 წლის მსოფლიოს თასი**
**შესარჩევი ტურნირი**

# რეპეშაჟი: შავი დღეშა ესპანეთს

**ესპანეთი — აშშ**

12 აპრილი, მადრიდი. „უნივერსიტეტი"

დღეს „რეპეშაჟის" პირველ მატჩში ესპანეთი აშშ-ს მასპინძლობს. სწორედ ამათ ორმატჩა დაპირისპირებაში გაირკვევა წლევანდელი მსოფლიოს თასის ბოლო, მე-20 მონაწილე.

საამატჩოდ ესპანელი „ლომები" ორკვირიან შეკრებაზე იყვნენ მადრიდის გარეუბანში და მკაცრ რეჟიმში ემზადებოდნენ. ამერიკელი „არწივები" კი გუშინწინ ჩაფრინდნენ ესპანეთში და ცნობილი მოვლენების გამო გაორმაგებული დაცვის თანხლებით ვარჯიშობენ.

ესპანეთისა და აშშ-ის სარაგბო ჯახი აქამდე ერთადერთხელ შემდგარა. ხუთი წლის წინ ამხანაგური შეხვედრა, ანუ ტესტი აშშ-მ 49:3 მოიგო.

ობიექტურად დღეს „არწივები" „ლომებზე" ძლიერები არიან და თუ რამ გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ავსტრალიაში აშშ გაემგზავრება.

## ჩოგბურთი

# ეროსის ატამი

## ასაკით სავსე მძიმე მკერდმა გრძელი და თხელი ფეხები დააჩოქა

**THE FAMILY CIRCLE CUP**
**ჩარლსტონი. თიხნარი**
**საპრიზო 1,3 მილიონი $**

**მეორე წრე**

**დანიელა ჰანტუხოვა (5, სლოვაკეთი) — ტატიანა პანოვა (რუსეთი) 6:2, 4:6, 6:3; მარი პირსი (საფრანგეთი) — ანასტასია მისკინა (7, რუსეთი) 6:4, 1:6, 6:2**

**მესამე წრე**

**სერენა უილიამსი (1, აშშ) — კონჩიტა მარტინესი (15, ესპანეთი) 6:2, 6:2; ჟუსტინ ენენ-არდენი (2, ბელგია) — ნატალი დეში (14, საფრანგეთი) 2:6, 6:3, 6:2; ლინდსი დევენპორტი (3, აშშ) — კლარისა ფერნანდესი (16, არგენტინა) 6:4, 6:4; დანიელა ჰანტუხოვა (5, სლოვაკეთი) — ჯილ კრეიბასი (აშშ) 7:6 (12:10), 6:3; ელენა დოკიჩი (6, სერბეთი) — ელენა დემენტიევა (13, რუსეთი) 4:6, 6:4, 7:5; მარი პირსი (საფრანგეთი) — ამანდა კუცერი (10, სამხრეთ აფრიკა) 6:3, 1:6, 6:0; ეშლი ჰარკლროუდი (აშშ) — მეგენ შონესი (11, აშშ) 6:2, 6:2; ვერა ზვონარევა (რუსეთი) — პაოლა სუარესი (არგენტინა) 6:4, 6:4**

მწვანე ჩარლსტონთიხნარის დატოვება იმ დღეს ბევრ განთესილ დიაცს მოუხდა. ამათგან რამდენიმე მათზე ბობოლებმა აოტეს, რამდენიმესაც კი მოულოდნელად გაცუდლუტებული მეტოქეები გასცდნენ.

ბობოლათაგან კვლავ არ გასჭირვებია პირველ სამეულს. ამქრის დედამთუძე სერენა უილიამსი იოლად გაუსწორდა მეთხუთმეტე ნომრად განთესილ კონჩიტა მარტინესს, ვინაც სერენასთან შეხლამდე ერთი გადატანილი მატჩიც ითამაშა. ენენ-არდენმა ფრანგ დეშის აჯობა, ხოლო თიხნართან საერთოდ მწყრალად მყოფმა დევენპორტმა ჯიშად მეთიხნარე არგენტინელ ფერნანდესს მოუგო.

ორი-ორი თამაშის გამართვა მოუხდათ მეხუთე ნომრად განთესილ ჰანტუხოვასა და განუთესავ მარი პირსს. ამათგან განსაკუთრებული გაოცება ორგზის სლემტიტულოსანი კანადოფრანგის ჩაუქმა გარჯამ გამოიწვია. ჩადედლებული მარი ჯერ წინა უქმეებზე სარასოტაში ნაპირველარ მისკინას მოერია, მერე კი ტურნირის 1998 წლის ჩემპიონი, სამხრეთაფრიკელი ამანდა კუცერიც აოტა. დიდი ხნის განმავლობაში ველარაფრის გამკეთებელი ვეტერანისგან ერთ დღეში ორი სამსეტიანი წარმატებული ბრძოლის გადატანა შაბაშ ამოდსაცქერი ამბავი იყო...

სხვაფრივ — ისევ განთესილ ქალს სძლია წინა წრიდან ელენა ბოვინას (9) განმდევნელმა ნორჩმა ამერიკელმა ეშლი ჰარკლროუდმა, ვინაც ამჯერად სახელიანი თვისტომი მეგენ შონესი (11) დაიფრინა. ეშლი მეოთხედფინალში თავისკბილა ჰანტუხოვას შეეხლება.

ამბობენ, ამ ორი სექსდავლათიანი გოგოცუნას განდაგანა ყველაზე დიდ ლიანგს მიიზიდავსო. თუმცა ამაზე ცოტა ხალხი არც ბაბაჭუა სერენასა და მკერდსახლეჩატმა ელენა დოკიჩის სამეოთხედფინალო პაექრობას უნდა დაესწროს.

**ESTORIL OPEN**
**ეშტორილი. თიხნარი**
**კაცები**
**საპრიზო 525 ათასი $**

**მეორე წრე**

**ევგენი კაფელნიკოვი (6, რუსეთი) — ადრიან ვოინია (რუმინეთი) 6:3, 6:0; მაძს მირნი (7, ბელარუსი) — ვიქტორ ჰანესკუ (რუმინეთი) 3:6, 6:3, 6:4; ფელისიანო ლოპესი (ესპანეთი) — ბერნარდო მოტა (პორტუგალია) 6:3, 6:4; ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) — ალექსანდრ ვასკე (გერმანია) 6:3, 7:6 (7:3)**

ევგენი კაფელნიკოვი ეშტორილში მეექვსედ გამოდის და აქამდე მეოთხედფინალში კი არა, მეორე წრეშიც ვერ მოხვედრილა. კარიერის 27-ე ტიტულისაკენ მიმავალ გზაზე მის წინაშე ახლა ჭაბუკი თვისტომი, ნიკოლაი დავიდენკო აღიმართება.

**ქალები**
**140 ათასი $**

**მეორე წრე**

**იულია შრუფი (გერმანია) — კატარინა სრებოტნიკი (1, სლოვაკეთი) 6:4, 3:6, 6:3; მაგი სერნა (2, ესპანეთი) — პეტრა მანდულა (უნგრეთი) 7:5, 6:0; ხისელა დულკო (არგენტინა) — ჰენრიეტა ნაგიოვა (5, სლოვაკეთი) 5:1 ნაგიოვამ შეწყვიტა; სტეფანი კოენ-ალორო (საფრანგეთი) — მარია სანჩეს ლორენსო (ესპანეთი) 6:4, 2:6, 6:2**

მდედრთა განყოფილების უმთავრეს მოულოდნელობად უსახელო გერმანელი შრუფის მიერ ტურნირის 1999 წლის გამარჯვებულისა და წლევანდელი პირველმეჩოგნის, სლოვაკი სრებოტნიკის გაძევება იქცა.



მარი პირსს ხორც მეტობა ზოგჯერ ავიწყდება

**GRAND PRIX HASSAN 66**
**კასაბლანკა. თიხნარი**
**საპრიზო 400 ათასი $**

**მეორე წრე**

**იუნეს ელ აინაუი (1, მაროკო) — მაგნუს ნორმანი (შვედეთი) 6:4, 3:6, 6:3; დომინიკ ჰრბატი (4, სლოვაკეთი) — ატილა სავოლტი (უნგრეთი) 6:3, 6:2; ნიკოლას მასუ (ჩილე) — ზელკო კრაიანი (ხორვატია) 2:6, 6:1, 6:4; ფრედერიკო ბრუნი (არგენტინა) — ფრანკო სკილარი (არგენტინა) 1:6, 7:6 (12:10), 6:4**

## ჭადრაკი

# სექსუალური ქიში ჭადრაკის ტრადიციებს

## გაიხადეთ, კოლეგებო! მოუწოდებს ამ საქმეში დახელოვნებული მარია მანაკოვა მოჭადრაკე ქალებს



*როგორც იქნა და თავისი სექსსიმბოლო ჭადრაკმაც მოიძია. ეს სიმბოლო ქალი გახლავთ, მარია მანაკოვა ჰქვია, წოდებით დიდოსტატია და თვლის, რომ ისეთი არასანახაობრივი სახეობის გაპოპულარულება, როგორიც ქალთა ჭადრაკია, მხოლოდ სექსუალობის წყალობით შეიძლება.*





**მარია** 1974 წლის 1 მარტს ყაზანში დაიბადა. საერთაშორისო დიდოსტატის წოდება 21 წლისამ მიიღო. ორი წლის მერე უკვე ქალთა ზეოცეულშიც ბოგინობდა. მეტ-ნაკლები წარმატებით უთამაშია მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე თუ ოლიმპიადაზე. ის ევროპის 99 წლის ვიცეჩემპიონია და 2002 წლის გუნდური ევროპის ჩემპიონატის გამარჯვებული. მრავალ ტურნირზე უმომხიბლავეს ქალად აღიარებული, ახლა სერბოჩერნიგორიული საჭადრაკო კლუბ „ბასის" სახელით თამაშობს და მხოლოდ იმ ტურნირებზე გამოდის, სადაც საკმარის მაყუთს უხდიან.

„რუსულ ქალთა ჭადრაკს არა ჰყავს თავისი კურნიკოვები თუ კაბაევები — ამბობს მარია — ადამიანები დღეს უმთავრეს ინფორმაციას ტელევიზიიდან იღებენ, ამიტომაც მათ გულებში შენი კუთვნილი ადგილის დასამკვიდრებლად რაც შეიძლება ეფექტური სახით უნდა წარუდგე. მე მოვუწოდებ ჩემს კოლეგებს — ტვინის ჭყლეტისა და მოსაბეზრებელი გამომეტყველების დრო წარსულს ჩავაბაროთ! შორს ჩვენგან ჩადრები და სპორტული წუღები! მოგვეცით მინიკაბები და მაღალქუსლიანი „სექსშპილკები"! მორჩა სპონსორებისა და ბიზნესმენებისგან ფულის მათხოვრობა! დროა, ფული ჩვენი ქმედებით კი არა, ჩვენი გარეგნობით ვიშოვნოთ!"

„ცხოვრებაში ბევრ კაცს ვყვარებივარ. მაგრამ ეს არა იმიტომ, რომ ჭადრაკს რიგიანად ვთამაშობ... ჩემს კოლეგებს შორის ბევრია ლამაზი და საინტერესო ქალი, მაგრამ ისინი არასოდეს ცდილან, პუბლიკისთვის თავიანთი ფარული ტალანტები სხვადასხვა რაკურსით დაენახვებინათ. ამიტომაც იყო, ერთ-ერთ საჭადრაკო ჟურნალში ჩემი ეროტიკული ფოტოს გამოქვეყნებას ასეთი ფურორი რომ მოჰყვა... ჩემამდე არც ერთ მოჭადრაკე ქალს არ უთქვამს, რომ მათში, სიცილიური დაცვის ვარიანტების გარდა, სექსუალობის რაღაც ნატამალი მაინც არსებობს."

**ქარლო გოგოლი**

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

*იტალიელი მეფორმულე ჯანკარლო ფიზიკელა დღეიდან უკვე აღარაა „ყველაზე ნიჭიერი პილოტი, რომელსაც ერთი ეტაპიც ვერ მოუგია". ეს უსიამოვნო ეპითეტი 30 წლის რომაელს გუშინ პარიზში, საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის (FIA) საგანგებო სხდომის შემდეგ მოეხსნა*

# FIA ფიზიკოში არ ჩაიჭრა

## ჯორდანმა რესტორანი წინასწარ შეუკვეთა

**ფედერაციის** ხელმძღვანელობამ დაინტერესებულ-დაზარალებული მხარეების წარმომადგენლებთან ერთად განიხილა გასულ კვირას ბრაზილიაში სკანდალური რბოლის შედეგები. შეგახსენებთ, რომ ასპარეზობა ვადამდე შეწყდა ესპანელ ფერნანდო ალონსოს საშინელი ავარიის გამო. რბოლის დირექტორატმაც FIA-ს წეს-დებულებით იხელმძღვანელა და გამარჯვება მიაკუთვნა არა იმ მომენტისთვის ლიდერ ფიზიკელას („ჯორდანი"), არამედ მაკლარენელ კიმი რაიკონენს, რომელიც შეწყვეტის წინა წრეზე ყველაზე წინ იყო. მაგრამ მაშინვე გაჩნდა ეჭვი, რომ რბოლის ქრონომეტრაჟში შეცდომა გაიპარა და შედეგიც „ფიზიკოს" სასარგებლოდ უნდა დაფიქსირებულიყო. საგანგებო სხდომაც ამ საჩოთირო ვითარების გასარკვევად დაინიშნა. უკვე ეს ფაქტი კი იმის მანიშნებელი იყო, რომ სიტუაციას ჯორდანელებისთვის სასიკეთო პირი უჩანდა. აბა, ტყუილად ხომ არ შეკრებდნენ პარიზში ამდენ საქმიან პიროვნებას. გუნდის შეფი ედი ჯორდანი წინასწარ ზეიმობდა წარმატებას, კვირას მოგება კი წაგვართვეს, მაგრამ გვაქვს ფაქტები, რომლებიც მოწმობს, რომ რბოლის შეწყვეტისას, რაიკონენის გასწრების შემდეგ ფიზიკელამ მორიგი, 56-ე წრე დაიწყო და შედეგებიც ამის მიხედვით უნდა დაფიქსირებულიყო.

ამბობენ, ჯორდანი ისე იყო დარწმუნებული, მის პილოტს ჩამორთმეულ მოგებას რომ დაუბრუნებდნენ, რესტორანში წვეულებაც კი შეუკვეთაო. ისე აგიხდეთ ყველაფერი...

გუშინდელი განხილვა დიდხანს არ გაჯანჯლებულა. მალე დადასტურდა, რომ გალიდერებულ ფიზიკელას 56-ე წრე მართლა დაწყებული ჰქონია და ბრაზილიაში გამარჯვებაც მას მიეკუთვნა. ამრიგად, სამართალი აღდგა და ჯანკარლომ თავის რვაწლიანი საფორმულო კარიერის 110-ე რბოლაში როგორც იქნა, პირველი მოგება მიითვალა.

სატურნირო ვითარება დიდად არ შეცვლილა: ფიზიკელას ორი ქულა დაემატა, რაიკონენს კი ამდენივე მოაკლდა.



ჯანკარლო ფიზიკელას ელირსა

23 წლის ფინელი 24 ქულით კვლავ დამაჯერებლად ლიდერობს და მეორე ადგილზე მყოფ თავის თანაგუნდელ დევიდ კულჰარდს ცხრით უსწრებს, ათქულიანი ჯანკარლო კი მეოთხეა. აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ რაიკონენმა ფიზიკელას და „ჯორდანს" მოგება ვერდიქტის გამოტანისთანავე, ჯენტლმენურად მიულოცა.

**გია ახალაძე**

# უდაი სადამის ძე სატანის ძე



*ეს დღეებია, ერაყში დაემხო სადამ ჰუსეინის ხელისუფლება. ევრო-ამერიკელი ჯარისკაცები მალე გაწმენდენ სადამის ფანატიკოსებისგან ძველ მესოპოტამიას და ამ ბნელ ქვეყანაშიც შეაღწევს ცივილიზაციის სხივები. მანამდე კი იქიდან შავ-შავი ამბები გამოდის სადამისა და მისი ოჯახ-ახლობლების ოდინდელ მტარვალობაზე.*



**ქვეყანას** მოედო სადამის უფროსი ვაჟის უდაი ჰუსეინის სადიზმის ამბავი. უდაი ერაყის ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარე გახლდათ და წლების განმავლობაში აწამებდა და კლავდა ერაყელ სპორტსმენებს — იტყობინება ცნობილი ამერიკული სპორტული ჟურნალი „სპორტს ილუსტრეიტიდი".

უდაი 1984 წლიდან განაგებდა ქვეყნის სპორტს და ამ ხანში თვალშისაცემ „წარმატებებს" მიაღწია — 1980 წლის მოსკოვის ოლიმპიადაზე ერაყი 46 სპორტსმენით წარდგა, ხოლო 2000 წელს სიდნეის თამაშებზე ამ ქვეყანამ ოდენ 4 ათლეტი მიავლინა.

ბოლო წლებში გახშირდა ერაყიდან სპორტსმენთა გამოქცევის ფაქტები. უდაის კლანჭებს გამოქცეულები აღწერენ სადამის ვაჟთან შეხვედრებს. ლატიფ იაჰიდა, რომელიც ხუთი წლის განმავლობაში წარმოადგენდა უდაის უმცროსი ძმის კუსაის ორეულს, ამბობს, რომ ოლიმპიური კომიტეტის შენობის სარდაფი გადაქცეული იყო 30-საკნიან საპყრობილედ, სადაც უდაის ბრძანებით და ხშირად მონაწილეობით აწამებდნენ საერთაშორისო შეჯიბრებებში სუსტად გამოსულ სპორტსმენებს. უდაი ხშირად თავად აწამებდა სპორტსმენებს და რამდენჯერმე მათი მოკვლის ბრძანებაც გაუცია. ლატიფ იაჰიდა ერთხელ შეესწრო ერთი მოკრივის წამების სცენას — „უდაიმ ჯერ მარჯვენა მუშტით, შემდეგ კი მარცხენით სახე გაუხეთქა დამარცხებულ მოკრივეს. შემდეგ მისი ცემა მავთულების და რეზინის წნულებით განაგრძო. სახე სამართებლით დაუსერა და წარბები აათალა, რაც მუსულმანებში უდიდეს დამცირებად ითვლება. ბოლოს უდაიმ დაცვას დაუძახა და უთხრა — „დილეგში ჩაათრიეთ და მოამთავრეთ!" მცველებმა მოკრივე ჩაათრიეს ოლიმპიური კომიტეტის სარდაფში, სადაც მოწყობილია საგანგებო საწამებელი ოთახები. ის ბიჭი უკვალოდ გაქრა, ისევე როგორც არაერთი სხვა."

უდაი ჰუსეინის სადისტური გადახრების შესახებ რამდენიმე წლის წინაც გავრცელდა ცნობები. მაგალითად, 2001 წელს ერაყის ბნელ გარსში ვერ დაიმალა ფაქტი, რომ უდაიმ ბრძანა, ხელი მოეკვეთათ ერაყის ოლიმპიური კომიტეტის დაცვის სამსახურის მოხელისთვის, რომელსაც ბრალად ედებოდა სპორტული ინვენტარის პარვა.

1997 წელს ფიფამ ერაყში მიავლინა ორი ინსპექტორი, რომლებსაც უნდა დაეზუსტებინათ, მართლა სცემეს თუ არა ამ ქვეყნის საფეხბურთო ნაკრების მოთამაშეები ყაზახეთთან წაგებული მატჩის შემდეგ. ფიფა-ს გამოძიებამ შედეგი ვერ გამოიღო.

აი, რას ამბობს, შარარ ჰაიდარი, 1998 წელს ლონდონში გაქცეულ ერაყელი ფეხბურთელი — „პირადად მე ოთხჯერ მაწამეს. ერთხელ ამანში იორდანიის ნაკრებთან ამხანაგური შეხვედრა 0:2 წავაგეთ. როდესაც ერაყში დავბრუნდით, ჩვენ გაგვაშიშვლეს, შეგვიკრეს ფეხები, ზურგზე დაგვაწვინეს და ბეტონზე გვათრიეს. როდესაც ტანი იარებით დაგვეფარა, ქვიშაში ამოგვგანგლეს, შემდეგ კიბეზე აგვიყვანეს და გვაიძულეს, ჩავმხტარიყავით განავალით სავსე კასრებში. გვცემდნენ რამდენიმე დღის განმავლობაში. მე ჯალათს დანდობას შევთხოვდი, მაგრამ მან გაიცინა და მითხრა, რომ თუ ბრძანებას არ შეასრულებდა, უდაი მას იგივეს დამართებდა."

აჰმედ კადიომი, ერაყელი საერთაშორისო კატეგორიის საფეხბურთო მსაჯი 2002 წლის დეკემბერს გაიქცა სამშობლოდან. როგორც ის ჟურნალისტებს მოუყვა, აწამეს იმისთვის, რომ უარი თქვა ერაყული გუნდების თამაშის ჩაწყობაზე. ის სჯიდა შეხვედრას „ალ შორტასა" და ერაყის სამხედრო საჰაერო ძალების გუნდს შორის. თამაში „ალ შორტას" უნდა მოეგო, მაგრამ მსაჯმა საამისოდ არაფერი მოიმოქმედა და რაკი შეხვედრა 2:2 დასრულდა, აჰმედ კადიომი ციხეში წაათრიეს, სადაც ჯოხებით და რეზინის ხელკეტებით სცემეს და შემდეგ ჩააგდეს სიბინძურით სავსე ავზში.

ერაყის საფეხბურთო ნაკრების ყოფილი წევრი ისამ ტამმერ ალ დავონის თქმით — „უდაის არასდროს ესმოდა სიტყვა „სიამაყე", ფიქრობდა, რომ სიამაყე იგივეა, რაც „შიში" და თვლიდა, თუკი ყველას ეცოდინებოდა, როგორ აწამებდა ის სპორტსმენებს, მაშინ მისი უფრო მეტად შეეშინდებოდათ."

ადამიანის უფლებების დაცვის ამერიკულმა ორგანიზაციამ INDICT-მა შარშან დეკემბერში საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში აფრინა თხოვნა, რომ ერაყი მოკვეთილიყო მსოფლიოს ოლიმპიური ოჯახიდან. თხოვნას თან ახლდა ერაყელი სპორტსმენების წამებისა და ცემის მრავალრიცხოვანი ფაქტები. საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა ორ თვეში, როგორც იქნა, გადაწყვიტა საქმის მოკვლევა, მაგრამ INDICT-ის დირექტორის ჩარლზ ფორესტის თქმით, სოკ-ი არასერიოზულად მოეკიდა გამოკვლევას და საქმე მიაფუჩეჩა, რადგან ამ ამბავს საერთო ანტიერაყულ კამპანიად თვლიდა.

ამჟამად ჟაკ როგმა, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა, განაცხადა, რომ საქმეს განიხილავს სოკ-ის ეთიკის კომიტეტი. კარგ დროს გაიღვიძა სოკ-მა. ახლა ერაყს ალბათ არ ემუქრება მოკვეთა, უდაი ჰუსეინი ხომ ველარასოდეს აწამებს სპორტსმენებს.

**შარარ ალ ძაჩოლი**



NHL სტენლის თასი. პირველი წრე

ოთხ მოგებამდე

*პლეი ოფის პირველი და სენსაციური დღე ხუთშაბათის მატჩებმა გააუფერულა. ნჰლ-ში არნახული ამბები ტრიალდა — ოთხივე ფავორიტი დაეცა, მათ შორის თასის ამჟამინდელი მფლობელი დეტროიტი და მასთან კოლორადოც. ამრიგად სერიის 8 შეხვედრიდან 7-ში ის გუნდები დანინაურდნენ, რომლებიც შედარებით სუსტად ითვლებოდნენ*

# ჩემპიონს იხვმა უკბინა

## დასავლეთი

### დეტროიტი 0:1 ანაჰაიმი

**დეტროიტი 1:2 ანაჰაიმი** *1:1 0:0 0:0 0:0 0:0 0:1*

**1:0 შენაჰანი (5), 1:1 ოუთსი (16), 1:2 კარია (104)**

სკოტი ბოუმენი ყინულს გასცქეროდა და თვალებს არ უჯერებდა. როცა იგი დეტროიტის თავკაცი იყო, ანაჰაიმი მუდამ გალახული ჩრებოდა. ახლა კი რა მოხდა. ერთი ოვერტაიმი, მეორე, მესამე დაიწყო და „ჯო ლუის არენა" გაირინდა. სტუმართა ლიდერმა პოლ კარიამ მცველიდან ასხლეტილი შაიბა დაიმორჩილა და ზუსტი დარტყმით „იხვებს" სერიის პირველ მატჩში გამარჯვება მოუტანა. ასე სენსაციურად დასრულდა შეხვედრა, რომელშიაც მოულოდნელობა ყველაზე ნაკლებსავარაუდო იყო.

არადა, თითქოს მასპინძლებისთვის ყველაფერი კარგად დაიწყო, მათ პირველივე რიცხვმრავლობა გამოიყენეს, ჩვეულად გაბატონდნენ მეტოქის ნახევარზე და ანგარიშიც უნდა გაეზარდათ, მაგრამ ანაჰაიმის მეკარე ჟან-სებასტიან ჟიგერის საუცხოო თამაშმა მათ გეგმები ჩაუფუშა. ჟიგერმა ამ მატჩში 63 დარტყმა მოიგერია. „თამაშის დაწყებამდე ძალიან ვნერვიულობდი, მაგრამ ეს ყველაფერი დადებით ემოციებად ვაქციე და დავიჭირე" — თქვა მატჩის შემდეგ შეხვედრის მთავარმა გმირმა

### ვანკუვერი 0:1 სენტ ლუისი

**ვანკუვერი 0:6 სენტ ლუისი** *0:2 0:2 0:2*

**0:1 სტილმანი (2), 0:2 ნეში (2), 0:3 ტკაჩუკი (22), 0:4 ხავანოვი (35), 0:5 ხავანოვი (51), 0:6 უეიტი (56)**

როგორც ჩანს, ვანკუვერზე და მის ლიდერ მარკუს ნესლუნდზე რეგულარული ჩემპიონატის ცუდმა ფინიშმა ძალიან დიდი ზეგავლენა მოახდინა. შეგახსენებთ, რომ კანადურმა კლუბმა დივიზიონში პირველი ადგილი დათმო, ხოლო მისმა შვედმა ლიდერმა — ბომბარდირის ტიტული. მაგრამ პლეი ოფში ხომ ყველაფერი თავიდან იწყება და, ეტყობა, ეს ბოლომდე ვერ გააცნობიერეს მასპინძლებმა. სანამ ისინი დაკარგულს მისტიროდნენ, „ბლუზმენებმა" დრო იხელთეს და სამგლოვიარო მარში შეასრულეს. კორი სტილმანმა რიცხვმრავლობაში გახსნა ანგარიში, 29 წამში კი ტაისონ ნეშმა გააორმაგა. ასეთმა უნიათო დებიუტმა სულ დააბნია მასპინძლები და ისინი მატჩის ბოლომდე გონს ველარ მოეგნენ. ნესლუნდი (ისევე როგორც მისი პარტნიორები პირველი სამეულიდან) მისთვის უჩვეულო საქმეში, წესების დარღვევაში გამოიჩა, რაც სტუმრებმა თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენეს — 6 გოლიდან 4 რიცხვმრავლობაში გაიტანეს. „თამაშის აბსოლუტურად ყველა ასპექტში ჩამოვრჩებოდით მეტოქეს" — ლაკონური რეზიუმე გააკეთა ვანკუვერის თავკაცმა მარკ კროუფორდმა.

### კოლორადო 0:1 მინესოტა

**კოლორადო 2:4 მინესოტა** *0:0 1:3 1:1*

**0:1 კუბა (26), 0:2 გაბორიკი (30), 0:3 უოლცი (30), 1:3 საკიკი (34), 1:4 ბრიუნეტი (56), 2:4 ჰეიდუკი (58)**

საყვარელი გუნდის ფიასკომ ალბათ ყველაზე მეტად კოლორადოს ქომაგები დაასევდიანა. დანარჩენი ფავორიტების, თუნდაც იმავე ვანკუვერის განადგურებას რაღაც ახსნა მაინც მოეძებნებოდა, მაგრამ დენვერელები თუ მინესოტასთან ასე საწყლად, უნიათოდ ითამაშებდნენ, ამას ვერავინ იფიქრებდა. არა, პირველ პერიოდში მასპინძლებს უდიდესი სათამაშო უპირატესობა ჰქონდათ (დარტყმებით 18-3 აჯობეს მეტოქეს), მაგრამ მინესოტა ისე მშვიდად იცავდა თავს, რომ კოლორადო დააბნია, ხოლო როცა მეორე პერიოდში თავის გამოჩენის შანსი მიეცათ, სტუმრებმა წარბშეუხრელად გამოიყენეს. პირველი ორი გაძევება კოლორადოს ორ გოლად დაუჯდა, შემდეგ კი სტუმრები მთლიანად ჩასაფრდნენ თავიანთ ზონაში და მეტოქეს გასაქანი აღარ მისცეს. განსაკუთრებით ეს უოლცზე უნდა ითქვას. მან პეტერ ფორსბერგს „პალტო გადააფარა" და ხახამშრალს დაატოვებინა ყინული. აქვე გავიხსენოთ, რომ მინესოტას თავკაცი მრისხანე ჟაკ ლემერია. გვაგონდება მისი ნიუჯერსული „ხაფანგები", რომლებშიც 1995 წელს მთელი ლიგა გაიხლართა. „მატჩის წინ მინდოდა, მეთხოვნა კოლორადოელებისთვის, ცოგურები მოეხსნათ და ისე გამოსულიყვნენ სათამაშოდ. მაშინ ჩვენი შანსები გათანაბრდებოდა" — ხუმრობის ხასიათზე იყო ლემერი.

## აღმოსავლეთი

### ტამპა 0:1 ვაშინგტონი

**ტამპა 0:3 ვაშინგტონი** *0:1 0:1 0:1*

**0:1 ლანგი (17), 0:2 ლანგი (38), 0:3 ნიულანდერი (42)**

ეტყობა, ტამპას იარომირ იაგრისთან ბრძოლა დაესახა მთავარ ამოცანად, რაკი მასპინძლები მთელი 60 წუთის განმავლობაში მას დასდევდნენ და ამ საქმეს ჩინებულადაც გაართვეს თავი, მაგრამ ამასობაში დაავიწყდათ, რომ მეტოქეს კიდევ ბევრი ხეირიანი მოთამაშე ჰყავს. მაგალითად, მისი თანამემამულე რობერტ ლანგიც გამოდგება, რომელიც წლეულს სწორედ იაგრთან საამხანაგოდ მიიწვიეს ვაშინგტონში. მართალია ამათ რაღაც ვერ აეწყოთ ერთად თამაში, მაგრამ სამაგიეროდ, ლანგი სხვა პარტნიორებს შეეწყო და ხუთშაბათს მისმა დუბლმა ვაშინგტონს გამარჯვება მოუტანა.

**სამველ ლარიბიანი**



REUTERS ტამპადან

ტამპელი ვინსენტ ლეკავალიე ვაშინგტონის მეკარეს ოლაფ კოლციგს მიუხდა

# გმადლობ, შენ

კრიკეტმა დიდი ხმაური არ იცის, მაგრამ გრძნობებით კია სავსე. აი, როგორ კოცნის ბალახს ვესტინდოელი შივნარინ ჩანდერპოლი, რომელსაც იღბალმა მოგერიება გამოსვლია. ხუმრობა ხომ არ არის? ვესტინდონი ავსტრალიელებს მასპინძლობენ გვიანაში, ჯორჯტაუნში და ეს ფოტო პირველი ტესტის პირველ დღესაა გადაღებული.



REUTERS ჯორჯტაუნიდან



REUTERS მონაკოდან

## ოჯახიშვილი ცხენზე

ეს კარგი ცხენოსანი გოგონა, მონტე კარლოს დაბრკოლებათა გადალახვის ცნობილი ტურნირში რომ ჩაუქობს, მონაკოსავე პატრონი სავვარეულოს შვილი გახლავთ. შარლოტა კაზირაგი პრინცესა კაროლინას ქალიშვილია და ცხენოსნობა არა გართობით, არამედ გვარითაც მოსდგამს. ცხენს კი ფოლკა დუ პარი ჰქვია.



REUTERS მონაკოდან



REUTERS ლას ვეგასიდან

## საშაბათოდ

დიდი მექსიკელი მსუბუქი მარკო ანტონიო ბარერა (56-3) ამ უქმეებზე ლას ვეგასის „ემჯიემ გრანდში“ იკრივებს. მისი მეტოქე ნიუიორკელი კევინ კელი (54-5-2) იქნება. კრივი საჩემპიონო არ არის, მაგრამ ბარერა დიდი მოკრივეა, კელი კი საბჭოს (ვბკ) ყოფილი ჩემპიონი.

## ჯილდო დაცვისთვის

კრისტიან მუკოსა კონგოელი ვექილია და ადამიანის უფლებებს იცავს. „რიბოკს“ კი ამ დარგში საგანგებო ჯილდო ჰქონია, რომელსაც ოცდაათ წლამდე ასაკის უფლებათა დამცველებს გადასცემს ხოლმე. სადაც „რიბოკია“, იქ ვინუს უილიამსიც გამოჩნდება ხოლმე, ჰოდა, მუკოსასაც უფროსმა შავმა ვენერამ გადასცა ეს ჯილდო.



REUTERS მონტრეალიდან


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, მალხაზ ჭუმბურიძე



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge